140
1971

ეროვნული ბიბლიოთეკა




# პიონერი

5
1971



# მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა

**გალაკტიონ ტაბიძე**

მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა
«მუმლი მუხასა» და «ლილეოსი»,
ეს გმირთა ჩვენთა არის სიმღერა,—
ეს სიმღერაა საქართველოსი.

მოაპობს მკერდით ზღვას მეზღვაური,
გესმის არაგვის ხმა საცნაური?
გესმის თერგის და მტკვარის ხმაური?—
ეს სიმღერაა საქართველოსი.

მიარღვევს რისხვა აწყვეტის ავის,
რომ არ უდრკება ქვეყნად არავის,
გესმის გრიალი მთებიდან ზვავის?
ეს სიმღერაა საქართველოსი.

თავისუფლებისმოყვარე ერებს,
ვით ზღვას, ვერარა ვერ შეაჩერებს,
მთა რომ იმღერებს, ტყე რომ იმღერებს,—
ეს სიმღერაა საქართველოსი.

აქ გამარჯვების დროშად წერია:
სამშობლო ჩვენთვის ყველაფერია,
თუ რამ სიმღერა გულს უმღერია,
ეს სიმღერაა საქართველოსი.

გმირებით სავსე სამშობლო მხარევ,
დღეს გამარჯვების გულით მღელვარევ,
იდიდე, ამ ხმას სხვაში ვერ გარევ:
ეს სიმღერაა საქართველოსი.

მხატვარი გ. ფოცხიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა საქართველო 50 წლისაა

ვიქტორია სირაძე,

საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

მზიური საქართველო გადაჭიმულია კავკასიონის თოვლიანი მწვერვალებიდან შავ ზღვამდე, რომლის ნაპირებიც დაფარულია მარადმწვანე ტროპიკული მცენარეულობით.

ალბათ ყველამ იცით, „ოქროს საწმისის“ ლეგენდა, რომელიც მოგვითხრობს კოლხეთის ზღაპრულ მიწაზე არგონავტების წინამძღოლის იაზონის მოსვლას. ისიც წაკითხული გექნებათ, კავკასიის შავი ზღვის ნაპირებს რომ აწყდებოდა ქარიშხლებისაგან გადმოგდებული ოდისევსის ხომალდი...

და ჩვენს მიწა-წყალზე რომელმა გადამთიელმა აღარ ითარეშა: ელინებმა, რომაელებმა, არაბებმა, მონღოლებმა. დიდმა ისტორიულმა ქარტეხილებმა გადაიარეს მის თავზე, მაგრამ საქართველომ, თავის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე, „ოქროს საუკუნეც“ გამოიარა. ეს იყო X-XII საუკუნეები, როცა მან შესძლო მოეგერიებინა თავაშვებულ დამპყრობთა მრავალრიცხოვანი ურდოები და დასაბამი მიეცა კულტურისა და ხელოვნების აღორძინება-აყვავებისათვის.

საუკუნეების მანძილზე უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ გაუთავებელ ბრძოლებში, ქართველმა ხალხმა მაინც შესძლო შეენარჩუნებინა თავისი ეროვნული თვითმყოფადობა, მდიდარი კულტურა და სწრაფვა თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ. XIX საუკუნის დასაწყისში საქართველო ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს და თავისი ბედი რუსი ხალხის ბედს დაუკავშირა.

1921 წლის 25 თებერვალს კი საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა — მუშათა და გლეხთა ხელისუფლება დაამყარეს.

საბჭოთა წყობილების ყოველმხრივმა ხელისშემწყობმა პირობებმა, წარსულში მეფის რუსეთის ერთი პატარა კოლონია დიდი ცხოვრების გზაზე დააყენა. ბუნებით მდიდარმა საქართველომ, ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკების ხალხებთან მეგობრული ურთიერთობის მეოხებით, უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ და მიაღწია ჯერარგაგონილ წარმატებას ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში.

დღეს საბჭოთა საქართველო დიდად განათლებული ქვეყანაა. ამ ნახევარი საუკუნის წინათ კი მთელი მოსახლეობის 76 პროცენტი გაუნათლებელი იყო. ამჟამად მთელ რესპუბლიკაში ყოველი მეოთხე ადამიანი სწავლობს...

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ჩვენში ათასობით სკოლა და საბავშვო ბაღი გაიხსნა; აშენდა ათობით და ასობით სანატორიუმი, პიონერთა სასახლეები და სახლები, ბანაკები, ნორჩ ნატურალისტთა და ტექნიკოსთა სადგურები, სპორტული სკოლები და სტადიონები.

რევოლუციამდე საქართველოში ერთი უმაღლესი სასწავლებელი იყო, დღეს კი მათი რიცხვი თვრამეტია, სადაც 90 ათასი სტუდენტი სწავლობს. გვაქვს ასამდე საშუალო სპეციალური სასწავლებელი, ორასზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და დაწესებულება, გაფართოვდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, რესპუბლიკაში ასობით კულტურის სახლია, ათასობით — ბიბლიოთეკა, 68 მუზეუმი, 23 პროფესიული თეატრი.

ჩვენი რესპუბლიკის კულტურის ეს მიღწევები დაფუძნებულია მის ეკონომიურ მიღწევათა მყარ საფუძველზე.

საკმარისია ითქვას, რომ 1913 წელთან შედარებით, მრეწველობის პროდუქციის საერთო შემოსავალი თითქმის 667-ჯერ გაიზარდა. დღეს ჩვენს რესპუბლიკაში ერთი კვირის მანძილზე იმდენი პროდუქცია მზადდება, რაც რევოლუციამდე ერთ წელიწადში გამოდიოდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამ-

პიონერი

5

მაისი

1971

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

11585



**საქართველოს ინდუსტრიის ერთ-ერთი სიამაყე — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანა.**

ყარების შემდგომ ჩვენში ათასზე მეტი ახალი სამრეწველო საწარმო აშენდა. საძირკველი ჩაეყარა ათობით ახალ ქალაქებსა და სოფლებს.

ქართველი ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი ახალგაზრდა სოციალისტური ქალაქით რუსთავით. როგორც იცით, ეს ქალაქი ეკუთვნით მეტალურგებს, ქიმიკოსებს, მანქანათმშენებლებს, სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკებს.

ფერი იცვალა, დამშვენდა საქართველოს ქალაქები და სოფლები. ავ თვალს არ ენახვება ჩვენი ჩაის თვალუწვდენელი პლანტაციები, ზვრები, ციტრუსების ნარგავები, აყვავებული ბაღები.

ეს ყველაფერი ქართველმა მშრომელებმა თავიანთი დალოცვილი მარჯვენითა და წმინდა ოფლით მოიპოვეს.

ყოველდღიურად მატულობს ჭაობიანი ადგილების ამოშრობა და გამოყენება, გაჰყავთ ახალი სარწყავი არხები. აი, ახლაც, კოლხეთსა და სამგორში წარმოებულ სამუშაოთა გვერდით, კახეთში შენდება მძლავრი ალაზნის არხი, რომელიც წყურვილს მოუკლავს ათიათასობით ჰექტარ მიწას, სულ მალე ამ მიწაზეც გაიხარებს ვაზი და ორ-სამჯერ უფრო მეტ დიდებულ ქართულ სუფრის ღვინოს დაამზადებენ აქაური მშრომელები.

სწრაფად ვითარდება ჩაის წარმოება. შენდება ახალი პლანტაციები, ფაბრიკები. რაც დრო გადის, მით უფრო მყარად მკვიდრდება ჩაის მეურნეობებში მსოფლიოში პირველი ჩაისმკრეფავი მანქანა „საქართველო".

საქართველოში მზადდება ბევრი რთული დანადგარი, დაზგა, ზუსტი ხელსაწყოები, ავტომატიკისა და მექანიზაციის კომპლექსები.

ყოველწლიურად უმჯობესდება თბილისური მარკის ელექტრომავლის და ქუთაისური ავტომობილის წარმოება. საქართველოს სხვადასხვა სამრეწველო პროდუქცია მსოფლიოს 70 ქვეყანაში გადის. ამ ბოლო ორი წლის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკა წარმოდგენილი იყო 30 საერთაშორისო გამოფენასა და ბაზრობაზე.

44 წელი გავიდა მას მერე, რაც მწყობრში ჩადგა ჩვენი პირველი მძლავრი ელექტროსადგური ზაჰესი, რომელიც ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური გეგმით აშენდა. დღეს ჩვენ ათობით ასეთი ელსადგური გვაქვს, რომლებიც რევოლუციამდელ დროსთან შედარებით 218-ჯერ მეტ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ. ენგურჰესი კი, რომელიც ახლა შენდება, თავისი სიმძლავრით გადააჭარბებს ჩვენში დღემდე აშენებულ ერთად აღებულ ყველა ელსადგურს.

ენგურჰესი მართლაც რომ უნიკალური ჰიდროელექტრონაგებო-

ბაა. მას ევროპის ყველა ელსადგურზე უფრო მაღალი, 271 მეტრიანი კაშხალი ექნება.

ერთი შეხედვით ეს თითქოს ჩვეულებრივი მშენებლობათაგანია იმ მრავალთაგან, რაც რესპუბლიკაში მიმდინარეობს, მაგრამ, არცთუ ისე დიდი დრო გავა და ფანტაზია ფარ-ხმალს დაჰყრის ადამიანის ხელით შექმნილ საოცრებათა წინაშე.

საქართველოს მეცნიერები ხალხის სამსახურში დგანან და ყოველნაირად ეხმარებიან მათ, რომ ზღაპარი სინამდვილედ აქციონ. მათ მაღლა უჭირავთ ცოდნის ჩირაღდანი და წინ მიუძღვიან ახალ-ახალი წარმატებების მოსაპოვებლად. ქართულმა მეცნიერებამ საფუძველი ჯერ კიდევ გელათისა და იყალთოს აკადემიებში დაიდო, რომლებიც თავის დროზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო კერები იყო. დღეს კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემია 40 სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს ითვლის და რესპუბლიკაში 217 სამეცნიერო დაწესებულებაა. 900-ზე მეტი მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი და ექვსიათასამდე მეცნიერებათა კანდიდატი გვყავს. ყველა ეს დაწესებულება და თითოეული მეცნიერი თავიანთი შეუპოვარი შრომითა და ძიებით კიდევ უფრო განადიდებენ საბჭოთა მეცნიერების სახელს.

საქვეყნოდ გაითქვეს სახელი დრეკადობის თეორიის ავტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა აკადემიკოსმა ნიკო მუსხელიშვილმა, მისმა მოწაფემ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა, აკადემიკოსმა ილია ვეკუამ, სოციალისტური შრომის გმირმა, ფიზიოლოგმა ივანე ბერიტაშვილმა, აღმოსავლეთმცოდნემ — აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა, ენათმეცნიერმა, აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ...

საკმარისია დავასახელოთ მძლავრი სამეცნიერო ბაზები: ატომური რეაქტორი და ფიზიკის ინსტიტუტის ცხრაწყაროს სადგური, რომელიც აკადემიკოს ელეფთერ ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით კოსმოსური სხივების ფიზიკას შეისწავლის, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, სადაც მოღვაწეობს აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, გეოფიზიკის ინსტიტუტის სეტყვის ღრუბლის დამშლელი სადგური; ქართველ სწავლულთა მნიშვნელოვანი შრომები მექანიკისა და მართვის პროცესების სფეროში; კიბერნეტიკის, ელექტრონიკისა და ავტომატიკის ინსტიტუტების მიერ შექმნილი „გონიერი მანქანები“ და სხვ.

მეცნიერების ჰორიზონტი დღითიდღე უსაზღვროდ ფართოვდება და გზას უხსნის თვით წარმოუდგენელ ფანტაზიასაც კი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში არანაკლებ ჭეშმარიტ წარმატებას მიაღწია ქართულმა კულტურამ და ხელოვნებამ.

დღევანდელი ქართული კულტურა გახლავთ კონსტანტინე გამსახურდიას ნატიფი სტრიქონები და ნოდარ დუმბაძის თბილი და წრფელი იუმორი; ლადო გუდიაშვილის, სერგო ქობულაძის, უჩა ჯაფარიძის, ელენე ახვლედიანის, ქეთევან მაღალაშვილის ჯადოსნური ფუნჯი; ანდრია ბალანჩივაძის, შალვა მშველიძის, ალექსი მაჭავა-



ათიათასობით მგზავრი გადაჰყავს ყოველდღე მეტროპოლიტენს. მომავალ ხუთწლედში კიდევ რამდენიმე სადგური შეემატება დედაქალაქს. სურათზე: სადგური „ვაგზლის მოედანი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიანის, ოთარ თაქთაქიშვილის, სულხან ცინცაძის მომხიბლავი მუსიკა; მსახიობ სერგო ზაქარიაძისა და რეჟისორ რევაზ ჩხეიძის მიერ შექმნილი, კოლორიტული ქართული ფილმი „ჯარისკაცის მამა“, ზურაბ ანჯაფარიძის, ლამარა ჭყონიას, ზურაბ სოტკილავას და მედეა ამირანაშვილის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატების — ელისო ვირსალაძის, მარინე მდივნის, ლიანა ისაკაძის ბრწყინვალე ნიჭი და დიდი პროფესიული ოსტატობა. და ბოლოს, — საქართველოს გამოჩენილი სპორტსმენების ვაჟკაცობა და ნებისყოფა, რომელთაც მსოფლიოში სახელი გაუთქვეს საბჭოთა სპორტს: ნონა გაფრინდაშვილი, ვიქტორ სანეევი, რომან რურუა, ალექსანდრე მეტრეველი, ზურაბ საკანდელიძე, ნანა ალექსანდრია და სხვანი.

საქართველოს მზიურ რესპუბლიკას უწოდებენ — მზე კეთილი მეგობარია ჩვენი უძველესი მიწა-წყლისა, მაგრამ მისი სიკეთე და ის სიუხვე, რაც დღეს მას ამშვენებს, უპირველესად, ქართველი ხალხის მუყაითმა მარჯვენამ და ცხოვრების ნიჭმა მოგვცა.

ქართველი ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი ვაჟკაცებითა და ქალიშვილებით, რომლებიც სასწაულმოქმედი გმირობით იღვწიან და ჰქმნიან რესპუბლიკის მატერიალურ სიმდიდრესა და მის სულიერ კულტურას, რომელნიც იცავენ ჩვენი დიადი სამშობლოს თავისუფლებას და მშვიდობას, თავდადებული შრომით განამტკიცებენ საბჭოთა სახელმწიფოს დიდებას და ძლიერებას.

ეს შემოქმედი მშრომელი ხალხი აღზარდა საბჭოთა წყობილებამ, საბჭოთა სკოლამ, კომკავშირმა და პიონერთა ორგანიზაციამ, რომელიც ნორჩ თაობას უღვივებს ცოდნის დაუოკებელ წყურვილს და ამზადებს მამებისა და დედების, უფროსი დებისა და ძმების სახელოვან საქმეთა ღირსეულ მემკვიდრეებად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნში არის ასეთი სიტყვები:

„აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო!“

მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების თანავარსკვლავედში საქართველო მტკიცედ მიდის ბედნიერებისა და აყვავების გზით.



# [illegible]

**მარშრუტი — „სსრ კავშირი ჩემი სამშობლოა“**



თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ერთ წყნარ ქუჩაზე, რკინიგზის 1-ლი საშუალო სკოლაა მოთავსებული.

ყოველ დილით სანაპიროს ბავშვების მხიარული ჟრიამული აცოცხლებს. შემდეგ ეს ჟრიამული სკოლის დერეფანსა და კიბეებზე გადაინაცვლებს. შემდეგ კი... ზარი ირეკება და ძველ შენობასა და მის მიდამოებში სიწყნარე ისადგურებს.

შენობა, როგორც უკვე გითხარით, ძველია და სილამაზით არ გამოირჩევა, მაგრამ თბილისში ცოტა სკოლა თუ დაიტრაბახებს ამდენი საამაყო შვილის გაზრდით.

მოსწავლეებს არასოდეს ავიწყდებათ სკოლა, სადაც ლამაზად განვლო ბავშვობამ. მაგრამ, თავის მხრივ, არც სკოლას ავიწყდება თავისი შვილები.

სკოლას აქვს საამაყო და ამაყობს კიდეც! დერეფანში ვეებერთელა სტენდია — „ისინი ჩვენს სკოლაში სწავ-

დიდი სიყვარულით აფორმებენ გია შერვაშიძე და ლალი მაღლაკველიძე ვ. ჩიქოვანისადმი მიძღვნილ სტენდს.

ლობდნენ". რა პროფესიის, რა ასაკისა და წოდების ადამიანთა პორტრეტებს არ შეხვდებით ამ სტენდზე: პროფესორებს, ცნობილ სპორტსმენებს, მსახიობებს, კომპოზიტორებს, მხატვარს, დირიჟორს... ერთ სურათს კი, ლამაზ, შავთვალწარბა, ქოჩრიანი ჭაბუკის პორტრეტს, შავი არშია აქვს შემოვლებული.

სკოლის პიონერული რაზმეულიც ამ შინმოუსვლელი ჭაბუკის სახელს ატარებს.

მაშ ასე, ჩვენ თბილისის რკინიგზის 1-ლი საშუალო სკოლის ვახტანგ ჩიქოვანის სახელობის პიონერთა რაზმეულში ვართ.

პიონერთა ოთახში წითელყელსახვევიან გოგონებსა და ბიჭებს მოუყრიათ თავი.

პიონერთა ოთახისათვის ამ ცოტა ხნის წინათ სკოლის დირექტორს ალექსანდრე ცინცაძეს წინანდელზე უფრო დიდი, სინათლიანი ოთახი გამოუყვია და პიონერები ახლა ამ ოთახის მოწყობა-გალამაზებით არიან გართული. წებო, ფუნჯი, საღებავები მოუმარჯვებიათ, სტენდებისათვის ფირფიცრები მოაქვთ და ფოტოსურათებს არჩევენ.

ერთი სტენდი, რომელიც საბჭოთა კავშირის გმირის, ამ სკოლის ყოფილი მოსწავლის ვახტანგ ჩიქოვანის ცხოვრებას და გმირობას ასახავს, უკვე მზად არის.

რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ რამაზ ნაცვლიშვილმა წითელმატერიაგადაკრული ალბომი გადმოიღო.

— ეს ალბომი დეიდა შუშანამ გვაჩუქა, როცა რაზმეულის შეკრებაზე მოვიწვიეთ.

პიონერხელმძღვანელი ალისა ჩიხრალაძე რაზმეულის საქმიანობაზე გვიამბობს და, რასაც არ უნდა ეხებოდეს ჩვენი საუბარი — „წითელ კვალისმაძიებელთა" საქმიანობას, ინტერნაციონალური მეგობრობის წრის მუშაობას თუ ომში დაღუპულთა ოჯახებთან რაზმეულის პიონერების ურთიერთობას, შორეულ ექსკურსიებს თუ საზეიმო შეკრებებს, ყველგან გმირის სახელი ურევია, ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს სახელი პიონერებისათვის წმიდათაწმიდად ქცეულა.

— ჩვენმა „წითელმა კვალისმაძიებლებმა" პირველად გაგზავნეს წერილი უკრაინაში, სოფელ ვოდიანიკაში, სადაც ვახტანგ ჩიქოვანი დაიღუპა, — თქვა მეექვსეკლასელმა თამრიკო ჭავჭანიძემ, — და ძალიან მალე მივიღეთ პასუხი.

გია ლორთქიფანიძემ უჯრიდან დასტად შეკრული წერილები ამოიღო.

გადავიკითხეთ ეს ფოსტა და გაგვახარა იმ დიდმა სიყვარულმა, იმ გულწრფელმა თაყვანისცემამ და მადლიერებამ, რასაც 25 წლის შემდეგ გამოთქვამენ უკრაინელი პიონერები ქართველი გმირის მიმართ, გმირისა, რომელმაც იხსნა ქალაქ ჩერკასის პიონერთა სასახლე აფეთქებისაგან.

როცა იმ სასახლეში გამაგრებული



საბჭოთა კავშირის გმირი ვახტანგ ჩიქოვანი.

შეხვედრა 86-ე საშ. სკოლის ვახტანგ ჩიქოვანის სახელობის რაზმის პიონერებთან.



გერმანელების გამოდევნა გაჭირდა, ჩვენებმა სასახლის აფეთქება გადაწყვიტეს.

— ნუ ავაფეთქებთ, დღეს-ხვალ გერმანელებს ისეც გავყრით, ჰქონდეთ ბავშვებს ეს ლამაზი სასახლე. ნება მომეცით აუფეთქებლად გამოვყარო აქედან ფრიცები, — სთხოვა ვახტანგმა ხელმძღვანელობას, და მან ბრწყინვალედ შეასრულა ეს ამოცანა.

ასე გადარჩა სასახლე...

გთავაზობთ წერილებს, რომლებშიც ასახულია ქართველი ვაჟკაცის გმირობა და ამ გმირობის ექო დღევანდელი ახალგაზრდების სულში.

აი, ჩერკასელი პიონერების წერილი თბილისის რკინიგზის 1-ლი საშუალო სკოლის პიონერებისადმი:

„გწერთ ჩერკასელი „წითელი კვალისმაძიებლები". მივიღეთ ვახტანგის დედის წერილი, სადაც თქვენი მისამართიც იყო. თქვენს სკოლაში უსწავლია ვახტანგს. რაც შეიძლება მეტი მოგვწერეთ გმირის შესახებ.

ჩვენს ქალაქში არის საუკეთესო შენობა, რომელიც ჩიქოვანმა გაათავისუფლა. ეს პიონერთა სასახლეა. დასმულია საკითხი, რომ სასახლეს მიენიჭოს ვახტანგ ჩიქოვანის სახელი.

მიწერ-მოწერა გვაქვს ვახტანგის მეგობარ პოლკოვნიკ ლოსიცკისთან და ვეძებთ მის ძმადნაფიც საშკა ანისიმოვს.

თუ შეგიძლიათ, გამოგვიგზავნეთ რაიმე მასალა ვახტანგზე, მისი სურათები, მოსწავლის ბილეთი ან მოწმობა, აგრეთვე თქვენი სკოლის სურათი, სადაც ვახტანგი სწავლობდა".

ჩერკასელ კომკავშირელთა წერილი:

,,ძვირფასო მეგობრებო!

მალე ჩვენ საზეიმოდ გავხსნით საბრძოლო დიდების მუზეუმს, სადაც თავს მოვუყრით მასალებს იმ გმირებზე, ვინც ჩვენი მიწის განთავისუფლებისათვის იბრძოდა. აქ, რასაკვირველია, იქნება მასალები საბჭოთა კავშირის გმირზე ვახტანგ ჩიქოვანზეც. იქნებ მოახერხოთ ამ მუზეუმისათვის გამოგვიგზავნოთ გმირის რაიმე ნივთი...''.

— და ასე გაიბა ჩვენს შორის მეგობრობა, — გვითხრა VI² კლასის მოსწავლემ ქეთინო უგრეხელიძემ — განსაკუთრებით ახლო მეგობრობა გვაკავშირებს ზვენიგოროდის ოლქის ვოდიანიკას საშუალო სკოლის ვახტანგ ჩიქოვანის სახელობის რაზმეულის წევრებთან.

მათთან მხიარულთა და საზრიანთა კლუბის თამაშიც კი გავაჩაღეთ წერილობით.

გვეპატიჟებიან, ჩამოდითო.

გულითა და სულით გვინდა წასვლა. იმ ზაფხულს ჩვენი კლასის დამრიგებელი ეთერ სოხაძე იყო ვოდიანიკაში.

VI² კლასის დამრიგებელს, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ეთერ სოხაძეს ბევრი აქვს მოსაგონებელი ამ მოგზაურობიდანაც და გმირის ცხოვრებიდანაც.

დეიდაშვილები — ვახტანგი და ეთერი ბავშვობიდან ერთად იზრდებოდნენ, ერთ სკოლაში სწავლობდნენ, ერთი ეზოს პიონერულ ფორპოსტში მუშაობდნენ, რომლის სული და გული ვახტანგი იყო.

ეთერი დღეს ამ სკოლის მასწავლებელია და ყველაზე მოწინავე კლასს — VI² კლასს ხელმძღვანელობს.

ვოდიანიკაში ყოველ 1-ლ სექტემბერს ტარდება ,,ვახტანგური გაკვეთილი'', პიონერები ფიცს დებენ გმირის საფლავთან, რომ საუკეთესოდ ისწავლიან და არ შეარცხვენენ მის სახელს, რომელსაც ასე სათუთად ინახავენ.

ბუნებრივია, ესა თუ ის ერი თავისი საუკეთესო შვილების უკვდავსაყოფად ქუჩებს მათს სახელებს არქმევს. დიახ, ეს ბუნებრივია.

მაგრამ რამდენად უფრო საამაყოა, როცა სხვა, მოძმე ერი, მადლიერებისა და სიყვარულის ნიშნად, ქართულად მონათლავს თავის ქუჩებს, კოლმეურნეობას, სკოლას.

მოძმე უკრაინაში, სოფელ ვოდიანიკაში არის ერთი ქუჩა — ვახტანგ ჩიქოვანის ქუჩა.

და რომ შეეძლოს, აი, რას გვიამბობდა ეს ომგადახდილი ქუჩა:

,,ბევრის მომსწრე და მნახველი ვარ, ჭირიც მინახავს და ლხინიც. მაგრამ, რაც ამ 27 წლის წინათ ვიხილე, ასეთი რამ არასოდეს მინახავს.

ტყვიის წვიმა და სისხლის ტბორები; ცრემლი და კვნესა;

ფაშისტების ჩექმებქვეშ ამბოხებული, გადათხრილი მიწა და შემდეგ სიხარული.

რა დამავიწყებს:

ჩვენებს წინ მოუძღოდა ცხენზე ამხედრებული შავთვალწარბა, შავი ულვაშით დამშვენებული ჭაბუკი, 25 წლის ქართველი რაინდი.

ჩვენებიდან პირველად მან დამაკარა ფეხი.

სიხარულით გული ამიტოკდა, სიმღერა მომინდა...

მოხუცები, ვინც უარი თქვა ევაკუაციაში წასვლაზე და ვინც ამდენი საშინელების მოწმე გახდა, სიხარულის ცრემლით შეეგებნენ ქართველ შევარდენს და მის მეგობრებს, მკერდზე ჰკოცნიდნენ, თაყვანს სცემდნენ.

მასაც სიხარულით უელავდა დიდრონი შავი თვალები, ჩქარობდა, გზადაგზა იძლეოდა ბრძანებებს.

გაქცეული მტერი ხავსს ებღაუჭებოდა, იკლაკნებოდა, ისროდა.

აქა-იქ კვლავ ფეთქდებოდა გერმანელების ნასროლი ყუმბარები.

აქა-იქ კვლავ ბოლავდა დამწვარი ქოხები...

და მაშინ, როცა მეგონა, ყველაფერი კარგად დამთავრდა-მეთქი, საშინელი რამ მოხდა''.

დიდუბის ერთი პატარა ეზო...

ბიჭები ჭარბობენ ეზოში და მთელი დღე ისმის ბურთის ხათქახუთქი.

ეზოში საბავშვო ბაღიცაა.

ამ ბაღს ახალი გამგე დაუნიშნეს — დეიდა შუშანა.

დეიდა შუშანა ბაღის გვერდით პაწაწინა ოთახში დასახლდა და თან შვილებიც მოიყვანა — ვახტანგი და ლეილა.

ვახტანგი მალე გაშინაურდა ეზოში. ბაღის კედლები ნახატებით მორთო.

მალე ეზოს ბავშვებმა სპექტაკლი დადგეს და აქ გამოჩნდა ვახტანგის ნიჭი. ბავშვებმა სამუშაო გაინაწილეს. რეზო ლაღიძეს მუსიკალური გაფორმება დაევალა, ვახტანგ ჩიქოვანს მხატვრული გაფორმება და სადადგმო ნაწილის ხელმძღვანელობა, გოგი კავთიაშვილს მოკარნახეობა. როლი, ცხადია, ყველას მნიშვნელოვანი ჰქონდა.

სპექტაკლმა მთელი ეზოს მოწონება დაიმსახურა. ვახტანგმა კი სკოლაშიც განაგრძო დრამწრეში მუშაობა და მისი თაოსნობით ბევრი კარგი სპექტაკლი დაიდგა.

იზრდებოდა ვახტანგი.

დ ე დ ი ს მ ო გ ო ნ ე ბ ა:

,,ერთხელ მოსწავლის ფორმა შევუკერე, ძველი ჯერ კიდევ მთელი იყო და იმედი მქონდა, შვიდწლედს ამ ორი ხელი ტანსაცმლით დაამთავრებინებდი.

ახალი ჩავაცვი და სკოლაში გავგზავნე.

საღამოს ძველი ვედარსად ვნახე. ვკითხე.

ვახტანგმა თავი დახარა, იცოდა, უკაცო ოჯახისთვის ძნელი იყო ტანსაცმლის ხშირად ყიდვა.

— არ გამიჯავრდე, დედიკო, აბოს მივეცი. მე ორი მაქვს, იმას კი სულ არ ჰქონდა''.

1938 წელს ვახტანგმა სკოლა დაამთავრა და იმავე წელს უნივერსიტეტში მოეწყო ქიმიის ფაკულტეტზე.

საუკეთესო სტუდენტი ფაკულტეტის საზოგადოებრივი ცხოვრების სული და გული გახდა. საღამოობით კი ბავშვთა ტექნიკურ სადგურში მუშაობდა, თან დედას ეხმარებოდა ოჯახის შენახვაში.

ი ს ე ვ დ ე დ ი ს მ ო გ ო ნ ე ბ ა:

,,ომი რომ დაიწყო, ვახტანგი IV კურსის წარჩინებული სტუდენტი იყო. სწავლის დამთავრებას ერთი წელიღა უკლდა.

ვამჩნევდი, რომ რაღაც აწუხებდა, თქმას ვერ ბედავდა.

IV კურსიდან ომში არავინ მიჰყავდათ.

ერთ საღამოს გამომიტყდა:

— დედა, მეტის მოთმენა არ შემიძლია. ამხელა კაცს ქუჩაში გავლა მრცხვენია, ასე მგონია დანაშაულს ჩავდივარ. ასეცაა. ხომ ხედავ, მტერი წინ მოიწევს. სწავლის დამთავრებას ყოველთვის მოვასწრებ. უნდა წავიდე.

ოქტომბერი იყო.

შეყვითლებული ფოთლები ცვიოდა ტროტუარებზე და რატომღაც გულს მიწუხებდა ეს ფოთოლცვენა.

ეშელონი გაჭედილი იყო თმაქოჩორა ბიჭებით.

მიდიოდნენ,

მიდიოდნენ,

მიდიოდნენ...

უკან დაბრუნებული კი ჯერ არავინ გვენახა. იმედი მაინც გვქონდა.

,,დედიკო, არ იჯავრო, მალე დავბრუნდები'', — ყველა ასე იწერებოდა.

ყველა დამრჩენს სჯეროდა, ჩემი შვილი დაბრუნდებაო. სჯეროდა, მაგრამ...''

ვახტანგ ჩიქოვანის წერილებიდან.

ს ა მ ა რ ყ ა ნ დ ი დ ა ნ:

,,...დედა, მე უკვე მომზადებული ჯარისკაცი ვარ, გამოცდები ბრწყინვალედ ჩავაბარე. აწი არ მეშინია, მტერი ვერაფერს დამაკლებს''...

მ ო ს კ ო ვ ი დ ა ნ:

,,...დედიკო, მივდივარ ფრონტზე, ჩრდილოეთისაკენ. არ შეგეშინდეს''.

უ კ რ ა ი ნ ი დ ა ნ:

,,დედა, ჩვენმა ნაწილმა პოლტავა, მირგოროდი უკან მოიტოვა, იერიშით

გაათავისუფლა ქალაქი ხოროლი. ეს პატარა, ოდესღაც ლამაზი ქალაქი ნაცარტუტად არის ქცეული. დედიკო, შემთხვევით გადარჩენილ ერთ პატარა სახლში შევედით და რა ვნახე! იქვე გაშეშდი. არამზადა ფაშისტებს ჩვილი ბავშვი აკვანში ჩაეკლათ. ბავშვის დედა იქვე დამხობილიყო გულწასული. მოხუცი ბებია და ბაბუა მწარედ ქვითინებდნენ. შემოგვხედეს, თითქოს შველას გვთხოვდნენ. დედიკო, მე და ჩემმა მებრძოლებმა ფიცი დავდეთ — შურს ვიძიებთ, გავჟლეტთ ავაზაკებს, კაციჭამიებს, ჩემი გული სავსეა მტრის სიძულვილით".

დ ნ ე პ რ ი ს  ს ა ნ ა პ ი რ ო დ ა ნ:

„მოვახერხე დნეპრზე მებრძოლების გადაყვანა და პლაცდარმის დაკავება. დედა! არ იდარდო, ამ საშინელ ბრძოლებს გადავურჩი".

(ჩვენმა მკითხველებმა ალბათ ნახეს კინოსურათი „განთავისუფლება" და ნაწილობრივ მაინც წარმოუდგენიათ ის სიძნელე, რაც დნეპრის ფორსირებასთან იყო დაკავშირებული. იქ ვახტანგმა საოცარი გმირობა გამოიჩინა. წერით კი მოკლედ წერს: „საშინელ ბრძოლებს გადავურჩიო").

რ უ ს კ ა ი ა  პ ო ლ ი ა ნ ა დ ა ნ:

„ძვირფასო დედიკო! პირველ დღეებში თვითმფრინავების ხმა, ქვემეხების გუგუნი და ბომბების გრიალი შიშს მგვრიდა, შემაკრთობდა, შემდეგ კი შევეჩვიე. ახლა საბჭოთა იარაღის გრიალი ყურს მუსიკად ეწვეთება. ვიცი, რომ ყოველ ტყვიას, ყოველ ყუმბარას მტრის ბანაკში სიკვდილი და განადგურება მიაქვს. მალე ჩვენი მიწა-წყლიდან სამუდამოდ აღიგვებიან წყეული ფაშისტები, რომლებმაც ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას ესოდენი ტანჯვა და მწუხარება მიაყენეს. ჩემზე ნუ იდარდებ, საყვარელო დედიკო, მალე მტერზე გამარჯვებული, ნაომარი, ორდენებით მკერდდამშვენებული შვილი დაგიბრუნდები!"..

ვახტანგის ფრონტელი მეგობრის, პოლკოვნიკ ვ. ლოსიცკის წერილი ვახტანგ ჩიქოვანის დედისადმი:

„როცა ჩვენი ნაწილი ქალაქ ჩერკასს ათავისუფლებდა, დიდ დაბრკოლებად გადაგვეღობა პიონერთა სასახლის დიდი შენობა, რომელშიც მტკიცედ გამაგრებულიყვნენ გერმანელები. მძიმე არტილერიამ ვერ გამორეკა იქიდან ფაშისტები. ეს შესძლო თქვენი ვაჟიშვილის — ვახტანგის უმაგალითო გამბედაობამ. თავისსავით გამბედავი მებრძოლების მცირე ჯგუფით უჩუმრად, ხოხვით შეძვრა შენობის სარდაფში და სასახლის შიგნით მოულოდნელად გახსნა ცეცხლი. სასახლე დაეცა, რამაც გზა გაკვალა ჩერკასის გასათავისუფლებლად. ვახტანგმა სახელი გაუთქვა თავის ნაწილს. იგი შეტანილია ჩვენი ნაწილის გმირთა სიაში. იამაყე, დედავ! მე ვამაყობ, რომ ასეთი მეგობარი მყავდა".

1944 წლის 13 სექტემბრის ბრძანებულებით ვახტანგ ჩიქოვანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, მაგრამ ამ სასიხარულო ამბის გაგება გმირს არ დასცალდა.

ზვენიგოროდის ოლქში, სოფელ სტებლევის გათავისუფლების შემდეგ, სოფელ ვოდიანიკადან მიერეკებოდნენ მტერს.

სწორედ ვოდიანიკაში, რომლის კოლმეურნეობას, მთავარ ქუჩას და სკოლის პიონერულ რაზმეულს ქართველი გმირის სახელი ჰქვიათ, მტრის ყუმბარამ იმსხვერპლა სამშობლოს სიყვარულით ანთებული სიცოცხლე.



უფროსი პიონერხელმძღვანელი ალისა ჩინჩალაძე და პიონერები: გიზო ხელაია, ნანა თავართქილაძე და ქეთინო უგრეხელიძე კითხულობენ ვოდიანიკელი მეგობრების წერილს.

იქვე, სკოლის ეზოში, ვაშლის ხის ძირას გათხარეს სამარე.

იქ, იმ ვაშლის ხესთან, ვაშლის ყოველი ყვავილობისას მიდის გმირის დედა შუშანა რუხაძე, რომლის თმაც ვაშლის ყვავილისფრად აქცია გაუნელებელმა დარდმა და ცრემლმა...

ხოლო აქ, საქართველოში, ჩიქოვანის ქუჩაზე ცხოვრობენ გმირის და, დედა, ამ ქუჩასაც აქვს თავისი სათქმელი.

და რამდენია საქართველოში ასეთი ქუჩა, უდროოდ შეწყვეტილი ლამაზი სიცოცხლის გაგრძელება...

**ნარგიზა მგელაძე.**

ფოტო
ა. სააკოვისა.

# ჩემი ბავშვობის ერთი დღე

**დემნა შენგელაია**
მწერალი — აკადემიკოსი

მხატვარი
დ. ზარაფიშვილი.

მამაჩემი რკინიგზაში მსახურობდა. როგორც ყოველი რკინიგზელის ოჯახი, ჩვენც ნაძალადევში ვცხოვრობდით. ცხრაასხუთი წლის რევოლუცია, შავი რეაქციის ბნელი თარეში ისევ თვალწინ მეხატებოდა, მამაჩემმა წყნეთის ქუჩაზე ერთ თეთრ შენობაში რომ შემიყვანა. ჩვენი ქართული გიმნაზია კერძო იყო, მაგრამ ფორმას სახელმწიფო გიმნაზიისას ვატარებდით.

ერთი პირველკლასელი წრიპა ვიყავი და რა ვიცოდი, თუ, ჩვენი, „ტუზემცების" (ასე ვესახებოდით ქართველები მეფის რუსეთს) თეთრკანტიანი ქუდები მეფის სატრაპებს თვალში ეკლად ესობოდა. ყოველივე ეს ზამთრის ერთ სუსხიან დილას გავიგე, როცა ბავშვებით ახმაურებულ ქუჩაში მეც სკოლისკენ მივიჩქაროდი.

ნაძალადევში მაშინ ტრამვაი არ დადიოდა. ვაგზლისკენ, სადაც ტრამვაიში უნდა ჩავმჯდარიყავი, სიცივისაგან მობუზული მივტუსტუსებდი. ზამთარმა იმ დღეს იმნაირად მოუჭირა, რომ ლიანდაგზე გადაწვდენილ საცალფეხო ხიდქვეშ ჩავლილმა ორთქლმავალმა ბოლი თბილ ბოლქვებად რომ შემომაყარა, მესიამოვნა.

ფქვილის ტომრებით სავსე საწყობებს რომ ჩავცდებოდით, ტრამვაიც იქვე ჩერდებოდა. ღია ვაგონის ლანლალ-ჯაგჯაგით გაბეზრებული ზემელის აფთიაქამდე ჰაიჰაი ძლივს მოვატანდი ხოლმე. აქ მეხუთე ნომერში უნდა გადავმჯდარიყავი. იმ დალოცვილ აფთიაქარს ელექტრონით განათებულ ვიტრინაში წითელი სითხით სავსე ბოცა გამოედგა. ტრამვაის მოლოდინში ბოცას წითელი იალკიალით ისე გავერთე, რომ ვაგონი ბრახაბრუხით რომ არ ჩამომდგარიყო, ვერც კი გავიგებდი. ზურგზე ჩანთა შევისწორე და პალტოს ჩაბარტყუნებულ კალთებზე ფეხი რომ არ დამედგა, ფრთხილად ავდგი საფეხურზე, ამ დროს პოლიციელმა ქეჩოში ხელი ჩამავლო, უკან გადმომაბრძანა და იქვე შექუჩებულ „პატიმრებში" გამრია.

— ა, ნუ, მარშ! — ბრძანა და ოცამდე ბიჭი ახლანდელი ფილარმონიის წინ საპოლიციო ნაწილში რომ შეგვრეკა, ვხედავ, ჩვენამდე მოყვანილი ბავშვები ქუდის თეთრ კანტებს მელანში გახსნილი ვაქსით ღებავენ. პატარები ტიროდნენ, უფროსები ილანძღებოდნენ, ზოგს პირი მელნით ისე მოსთხუპნოდა, რომ ვერ გაიგებდი იცინოდა თუ ტიროდა.

მეც ვიკადრე: ყინვით გათოშილი ხელი ათქვეფილ ვაქსში ჩავყავი და ჩემი კოხტა, გრამაფონის ფირფიტასავით გახრეკილი ქუდის თეთრ კანტებს სამუდამოდ გამოვეთხოვე.

იმ დღეს გაკვეთილები ჩაიშალა. მელნით პირმოღლუნულმა სახლის კარი რომ შევაღე და დედაჩემი დავინახე, გული ამომიჯდა. შეურაცხყოფა, დამცირება და რაღაც ტკივილი მთელი სიმწვავით ვიგრძენი, თან ვტიროდი და ისე ვუამბობდი დედას, როგორც დამამცირეს, ჩემი ქუდი ფეხქვეშ როგორ გათელეს...

დედაჩემი მისმენდა, ხმა არ ამოუღია, თანაგრძნობის ნიშნად პირი თავისი ხელით დამბანა და მომეფერა. მას შემდეგ მძაგს ყოველგვარი ძალადობა და უსამართლობა.

ეს უსიამოვნო მოგონება წარსულს ჩაჰბარდა. დღეს სიამაყითა და სიამოვნებით ვივსები ჩვენი მოსწავლე ბავშვების ხალისიანი და ბედნიერი ცხოვრების მომსწრე. თქვენ ბედნიერი საქართველოს ბედნიერი შვილები ხართ! მისი სასახელო მომავალი! მაშ, მტკიცე ნაბიჯით იარეთ მშრომელი ხალხის სისხლით გაკაფულ დიდ გზაზე! დაე მარად ჰქუხდეს თქვენი წკრიალა მოძახილი ჩვენი სამშობლოს მთასა და ბარში!



ეროვნული ბიბლიოთეკა

50

# პოეტები უმღერიან საბჭოთა საქართველოს

*

ჭრილობების და ვაზის მამული
გახარებული მზეს ეწაფება,
და ცრემლი სადღაც გადამალული,
გადმოაწვიმეს ვაზის ძაფებმა.

ჩვენ ერთ დღეს გავჩნდით: ვაზიც,
ქართველიც,
სიცოცხლის წვენით ერთად დავთვერით
ერთად ვიქნებით აწ და მარადის,
როგორც მებრძოლი და მუზარადი...

ვაზო, სამშობლოს შუბლი შებურე,
ალბე მირონში შავი ფესვები,
მიწავ, გაიღვი და შენებურად
გამოგვიზარდე უმჯობესები.

. . .

ქართლის რძეო და კოლხიდის ღალავ,
ასჩაფიანში მაჭრის დუღილო!
მიწავ, კუნთი რომ არ მოგელალა
და ქვეყნად გაქქუხს შენი პურ-ღვინო!

*

მიყვარს მამული, ამაღლებული
შრომით, გმირობით, შემოქმედებით,
მიყვარს მამული განახლებული,
ამღერებული მისი ქედები.
მისი მზისგული, მისი წვიმები,
მისი ახალი, ტკბილი ურმული,
მისი გაშლილი პლანტაციები,
შრომის ზეიმი კოლმეურნული.
მიყვარს ყანების საგალობელი
ნამოროდევის, ნამარგლულების,
მიყვარს თვალებში ცრემლის მომგვრელი
მჭახე სურნელი ანაგრულების.
მიყვარს გზისპირის ალვის ჩრდილები,
დილის ნიავით გაცოცხლებული,
მიყვარს ღობეზე ტყის ყვავილები,
მგზავრის სამზერად აცოცებული.
მიყვარს მამული, მიყვარს მამული
ცამდე გაზრდილი, ამაღლებული,
რა სიცოცხლეა, რა საამური
მისი მთა-ბარი განახლებული.

*

მყინვარწვერის თოვლის თეთრო თაველო,
ლურჯო ნისლო, მტკვრიდან ცაზე ასულო,
ვეფხის ტყავად დაფენილო მთა-ველო,
ორბის ფრთების ჩრდილით გადახაზულო!

გაზაფხულის ოქროვანო წვიმებო,
მზის ყვავილო, ციდან ძირს გადმორგულო,
შოთას ქნარის მოგუგუნე სიმებო
და აკაკის ხმაწკრიალა ჩონგურო!

ძველო ფუძევ, მრავალ ჭირის მნახველო,
ოფლდაღვრილო, ბევრჯერ სისხლით ნაბანო!
წინაპართა ღირსეულო სახელო
და გმირების მუდამ თბილო აკვანო!

ნედლო მიწავ, ერთი ხელის დადებავ,
გამძლეობით უმტკიცესო რვალისა!
ელვის ღვარო და მსოფლიოს ნათებავ,
ამ მიწიდან ამოვარდნილ ალისა.

განთიადის ცეცხლის შემოკიდებავ
და საღამოს მთვარევ, ჯიხვის რქიანო!
აღმართ-აღმართ აღმავალო დიდებავ, —
შენ ახალი საქართველო გქვიანო!

*

დათბა და ლაჟვარდს გააქვს კაშკაში,
ცაზე გაუბამთ მერცხლებს პწკარები,
ასე მგონია, ამ გარდაქმნაში
მზეს და გაზაფხულს მეც ვეხმარები.
ჩავცქერი მიწას, ვუსმენ ბალახებს,
და არაფერი მეუცხოება.
ჩვენც ხომ ვაშენებთ, ჩვენც ხომ ვანახლებთ,
გაზაფხულია ჩვენი ცხოვრება.

გესმით? იმღერეთ, გამოდით ერთად,
საქართველოში რაც მგოსნებია,
ვახაროთ მათ, ვინც შეაკვდა მტერთა,
ვინც ამ დიდებას არ მოსწრებია!

*

მარად ურღვევი ხალხთა კავშირი
დიდების შუქით მოსილი ბრწყინავს.
მოძმე რუსეთის ხელით გაშლილი
ოქტომბრის დროშა მიგიძღვის წინა.

საბჭოთა ქვეყნის თვალმარგალიტო,
გმირობით სავსე წარსული გშვენის,
გფიცავთ, სამშობლოვ, შრომით ვადიდოთ
სასიქადულო სახელი შენი.



# როცა ბათუმი განსაცდელში იყო

სერგო კლდიაშვილი

მხატვარი
დიმიტრი ზარაფიშვილი.

1921 წლის მარტი.

მარტის თვე ბათუმში წვიმიანი იცის, მაგრამ ახლა თითქოს შეგვიბრალა ბუნებამ, მზიანი დღეები იდგა და ნამდვილი გაზაფხული იგრძნობოდა. ასეთი დარი დიდად სანუგეშო იყო ჩვენთვის, ვინც არა თავისი ნება-სურვილით ზღვისპირა ქალაქში მოვხვდით.

მზიანი ამინდი ერთადერთი ნუგეში იყო იმიტომ, რომ ღამის გასათევი, თავშესაფარი არ გვქონდა და ღია ცის ქვეშ გვიხდებოდა ცხოვრება. მენშევიკური მთავრობა და მისი ერთადერთი დასაყრდენი ძალა, დაქირავებული გვარდია, რომელმაც საზღვრებთან მოგვრეკა, უცხოეთის გემებზე იყო გახიზნული საზღვარგარეთ წასასვლელად, ჩვენ კი, მობილიზაციით წაყვანილი ჯარისკაცები, უმწეო მდგომარეობაში ვიყავით ჩავარდნილი, — ლუკმაპური გვენატრებოდა. დავხეტიალობდით ქუჩებში მშივრები, ნაღვლიანად შევყურებდით ერთმანეთს და ყველას ერთიდაიგივე ფიქრი გვიტრიალებდა გონებაში: როგორ დაგვეხსნა თავი ამ გასაჭირისაგან?

ერთ დღეს მე და ჩემი მეგობარი ჯარისკაცი ქალაქის იმ განაპირა უბანში დავბორიალობდით, რომელსაც „გოროდოკს" ეძახდნენ. კარდაკარ ჩამოვიარეთ, რომ ოდნავ მაინც დავნაყრებულიყავით და მერე გზის პირად ჩამოვჯექით დასასვენებლად. ისეთი დაღლილები ვიყავით, ლაპარაკის თავი არ გვქონდა. ჩვენს წინ ვრცელი მინდორი იყო გაშლილი, რომლის ბოლოში აჭარის მთების გრეხილი ჩანდა. რამდენიმე გორაკზე გარკვევით ვხედავდით ძველებურ გოდოლის მსგავს ფორტებს. ცარიელ ფორტებში არც ერთი ქართველი ჯარისკაცი არ ჩანდა და სამთო ზარბაზნები უპატრონოდ იყო მიტოვებული.

ვისხედით და ბუნების სილამაზით ვტკბებოდით. მაგრამ ეს სიმშვიდე დიდხანს არ გაგრძელებულა: სრულიად მოულოდნელად გზაზე გამოჩნდა შეიარაღებული და ჩვენთვის უჩვეულოდ ჩაცმული რაზმი.

— აქ საიდან გაჩნდნენ? ესენი ხომ თურქები არიან! — შეშფოთებით წამოიძახა ჩემმა მეგობარმა.

როცა მათ ჩვენს წინ ჩაიარეს, ეჭვი აღარ მქონდა — ასკერები იყვნენ. ასეულს უძღოდა მოთაფლისფრო ულაყზე ამხედრებული თურქი ოფიცერი. ცხენს კისერზე ჩამოკიდებული ჰქონდა მსხვილი ქარვის ანცმა. პატრონს, ალბათ, ძალიან უყვარდა თავისი ზერდაგი. წარმოვიდგინე, როგორ გადმოიარა ამ ცხენმა ანატოლიის ხრიოკები, მთაგორიანი არზრუმი, ძველი ქართული მავშეთი, სანამ თავის პატრონს ბოროტ მოჩვენებად ჩაატარებდა ჩემს წინ. ასკერების ოფიცერს ქანგისფერი დასდებოდა სახეზე, დიდი და მოკაუჭებული ცხვირი ჰქონდა. ერთი შეხედვით, სანადიროდ გამოსული მტაცებელი ძერა მოგაგონდებოდათ. მისი თვალები შიშნარევად გასცქეროდნენ წინ გაწოლილ გზას. ორივე ხელით ჩასჭიდებოდა აღვირს, თითქოს იმისათვის, რომ აეძულებინა ცხენი უფრო ნელა ევლო, მაგრამ პირუტყვი მაინც ისე მითოხარიკობდა, რომ ქვეითი ასკერები თითქმის სირბილით მისდევდნენ.

რა მიზნით გაჩნდნენ ისინი ბათუმში? ცხადია, ქალაქის ხელში ჩასაგდებად! ბათუმი, ხომ თურქეთის ძველი ოცნება იყო. ბოლო დღეებამდე ისინი, ალბათ, ჩასაფრებული იყვნენ მოსაზღვრე მთებში, იქიდან გადმოსცქეროდნენ ზღვისპირს და ამ არეულ დროში ხელსაყრელ წუთს ელოდებოდნენ. ეს წუთიც იყნოსეს და კიდევაც დაეშვნენ მთებიდან...

ასკერებმა სწრაფად ჩაიარეს და მალე ქალაქში შევიდნენ.

— ახლა ნახე, რა საშინელი ამბავი დატრიალდეს ბათუმში! — ხელი მწარედ ჩაიქნია ჩემმა მეგობარმა.

ეს „საშინელი ამბავი" მართლაც მალე დატრიალდა.

თურქები მოულოდნელად და სწრაფად შეიჭრნენ ქალაქში, დაიკავეს ნავსადგურის ახლო მდებარე ბატარეა, ფოსტა-ტელეგრაფის სახლი ქალაქის ცენტრში და, როგორც მერე გავიგეთ, ერთი ფორტი გორაკზე. ეს თითქმის იმის მომასწავებელი იყო, რომ ბათუმი საბოლოოდ მათ ხელში უნდა ჩავარდნილიყო.

მეორე დღეს ასკერების ახალი რაზმები შემოიჭრნენ. მტრის ჯარისკაცების რიცხვი არცთუ ისე დიდი იყო, მაგრამ სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ არსებული მდგომარეობით ესარგებლათ და აქაურობას დაპატრონებოდნენ. აბა, ვინ იყო წინააღმდეგობის გამწევი, ვის შეეძლო ბათუმის გადარჩენა!

ასკერების შემოსვლის მესამე დღე იყო. უმიზნოდ მივაბიჯებდი პროსპექტზე. ჩემსავით ნაღვლიანად და უსაქმოდ სხვა მრავალიც დაეხეტებოდა ქუჩაში. ერთ მოსახვევთან უეცრად იარაღასხმული სამი უცნობი ახალგაზრდა შემეფეთა. ერთი მათგანი უმალვე მოიჭრა ჩემთან და, აღელვებულმა, ბრძანების კილოთი მითხრა:

— წადი ყოფილ ყაზარმებში. ქალაქის დამცველი რაზმები დგება. იქ გაგანაწილებენ და იარაღსაც იქვე მიიღებ. ვინც გზაში შეგხვდეს, თან გაიყოლე. აბა, ჩქარა!

აზიზიეს მოედანს რომ მივუახლოვდით, სიმღერა შემომესმა. ვინ იყო, რომ ამ დადუმებულ, დამგლოვიარებულ ქალაქში მღეროდა, და მერე რა ომახიანად, რა მხნედ?! რამდენიმე წუთის შემდეგ ისინიც დავინახე... უნებურად შევჩერდი და გაოცებით მივაშტერდი მათ: ისინი აღმოჩნდნენ ბათუმში ახლადშემოსული წითელარმიელები! მწყობრად მიაბიჯებდნენ შუა ქუჩაში, ტროტუარებზე კი ხალხი იდგა და შეძახილებით ეგებებოდა მათ.

გამხნევებული მივიჩქაროდი ყაზარმებისაკენ. სრული იმედი მომეცა, რომ ბათუმს ვეღარავინ წაგვართმევდა.

ყაზარმებში დიდი მზადება და ფუსფუსი იყო. აქ თავი მოეყარათ ყოფილ ჯარისკაცებს, რომელთა შორის უმეტესად სტუდენტები იყვნენ. ამათგან შემდგარ რაზმებს აიარაღებდნენ და სასწრაფოდ გზავნიდნენ იმ ადგილებში, სადაც ასკერები მოკალათებულიყვნენ. აშკარად იგრძნობოდა, რომ ის სულიერი გარდატეხა, ის მხნეობა, რომელიც ახლა ახალგაზრდობას ემჩნეოდა, ქალაქში წითელი არმიის შემოსვლამ გამოიწვია.

რაზმი, რომელშიაც მოვხვდი, ჯერ ფოსტა-ტელეგრაფის შენობის გასათავისუფლებლად გაიგზავნა, ხოლო როცა იქიდან ასკერების ოცეული გამორეკეს, ორთაბათუმისაკენ გადაისროლეს.

განთიადი იწყებოდა, როცა ორთაბათუმში განვლაგდით. ქალაქიდან კანტიკუნტად აღწევდა სროლის ხმა. უმეტესად კი დაძაბული სიჩუმე იყო, რომელსაც ზოგჯერ არღვევდა რეიდზე მდგარი უცხოეთის გემების ბღავილი. ეს გემები ბათუმის სანაპიროს ტოვებდნენ და თან მიჰყავდათ მენშევიკური მთავრობის წევრები და ყველა ისინი, ვისაც ისღა დარჩენოდა, რომ უცხოეთში გახიზნულიყო.

დილა ისევ მზიანი დადგა. ჩემს წინ ისევ ის ვრცელი მინდორი იყო, სადაც ორი დღის წინათ მე და ჩემი მეგობარი ვიჯექით და გარემო ბუნების სილამაზით ვტკბებოდით, მაგრამ ახლა აღარ მხიბლავდა ეს სილამაზე. რა მომხიბლაობა უნდა ჰქონოდა ჩემთვის იმ გორაკებს და ფერდობებს, სადაც ამჟამად მტერი ჩასაფრებულიყო და იქიდან მიცქეროდა სიკვდილის ხარბი თვალებით!

სულ მალე სროლის ხმა გავიგონეთ ბარცხანის მხრიდან, გახშირებული სროლის ხმა მოგვესმა ქალაქიდანაც. ვიღაცამ ამბავი მოიტანა, რომ ქალაქიდან უკვე გამორეკეს ასკერები და ჩვენსკენ მოდიანო. რამდენიმე ხნის შემდეგ შორიახლოდან მოგვესმა ტყვიამფრქვევის კაკანი. ეს ხმა თანდათან გვიახლოვდებოდა და მალე თვალი მოვკარი, რომ ჩვენს პირდაპირ ფერდობზე ადამიანები მოცოცავდნენ ფორტისკენ, ცხადია, ჩვენიანები იყვნენ. ისინი ფრთხილად უახლოვდებოდნენ ფორტს, რომელიც ღამით თურქებს დაესაკუთრებინათ.

ჩვენმა უფროსებმა გვიბრძანეს ადგილი გვეცვალა და ველს კიდევ უფრო დავახლოვებოდით. მაშინვე შევუდექით ბრძანების შესრულებას. ხოხვით წავიწიეთ წინ და დანიშნული ადგილი დავიკავეთ.

— თამბაქო მომაწევინე! — მომმართა ახალგაზრდამ, რომელიც ჩემს გვერდით იყო მიწაზე გართხმული.



— ერთი შენ კიდევ, — მწყრალად გავეხმიანე, — რა დროს ეგაა!

— დროს სად ვუცადო, შე კაი კაცო, — გამიჯავრდა ის, — იქნებ ეს უკანასკნელიც არის ჩემთვის...

აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ ეს სიტყვები წინათგრძნობამ ათქმევინა, — თურმე ეს გაბოლება თამბაქოსი მართლაც უკანასკნელი გამოდგა მისთვის... მცირე ხნის შემდეგ ის უსულოდ ეგდო მინდორზე.

ფერდობზე და გორაკზე ბრძოლა გაცხარდა, ბოლოს ყიჟინით შეუტიეს ჩვენიანებმა და შუადღისას კიდევაც აიღეს ფორტი.

ქალაქიდან გამორეკილ ასკერებს ერთადერთი უკანდასახევი გზა ჰქონდათ: ის მინდორი, რომელიც ჩვენს და გორაკის თავზე წამოჭიმულ ფორტის შუა იდო. თურქები მართლაც მალე მოადგნენ ამ ადგილს და, როგორც კი გამოჩნდნენ, ორივე მხრიდან დაუშინეს ტყვია.

უეცრად ველზე ცხენი გამოჩნდა. პირველად ისე ვიფიქრე, მომელანდა მეთქი... სწორედ ის ოქროსფერი ბედაური იყო, რომელსაც კისერზე ქარვის ანცმა ეკიდა...

ახლა ამ ზერდაგზე არავინ იჯდა. ის დაფეთებული დარბოდა მინდორზე. ერთ ადგილს წამიერად ჩაიჩოქა, უცბადვე წამოხტა და ისევ გაქანდა. რა იყო, რა მომხდარიყო? ჩამოქვეითებულ პატრონს გამოქცეოდა, თუ ცოცხალი აღარ იყო ის, ვინც გუშინწინ ბოროტ მოჩვენებასავით ჩამიარა ამხედრებულმა?

ფერდობიდან გრიალი გაისმა. ჩვენიანებს მსუბუქი სამთო ქვემეხი აეტანათ და მტერს იმით უშენდნენ. ჩვენ უკვე გვაბრაზებდა ცხენის დანახვა. გვეცოდებოდა პირუტყვი და ვნატრობდით როგორმე გადარჩენოდა მოსალოდნელ ხიფათს. ცხენი რამდენიმე ხანს კიდევ დარბოდა. შუა მინდორს რომ მიაღწია, უეცრად შედგა, დატრიალდა, მერე დაეცა როგორც მოცელილი, თავს ურტყამდა მიწას, ცდილობდა ამდგარიყო, მაგრამ თანდათან დაწყნარდა და სამუდამოდ დამშვიდდა.

●

კიდევ ერთი დღე და, ბათუმი და მისი შემოგარენი განთავისუფლებული და გაწმენდილი იყო მტრისაგან. თურქებმა, ვინც ცოცხალი გადარჩა, გაქცევით უშველეს თავს. ისინი საბოლოოდ გამოეთხოვნენ ბათუმის მხარეს. იმ დღიდან ზღვის ნაპირზე ახალმა საქართველომ გაიხარა.

# ახლა რომ 14 წლისა ვიყო...

ძვირფასო მკითხველო, ამჯერად, განყოფილებაში „ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო...“ გადავწყვიტეთ გაგაცნოთ, ერთი შეხედვით, უბრალო პროფესიის ადამიანი — მშენებელი, სოციალისტური შრომის გმირი ვ ა ლ ი კ ო ჭ ე ლ ი ძ ე, ერთ-ერთი იმათგანი, ვინც ქმნის შენი ქვეყნის მატერიალურ დოვლათს, გაჭმევს, გაცმევს, გაძლევს კომფორტაბელურ ბინას, სწავლის საშუალებას, იმის საშუალებას, რომ დაეუფლო არჩეულ პროფესიას, დაისვენო, იკითხო შენი საყვარელი წიგნები...



ხანდახან გგონია, თითქოს მხოლოდ ამ სახლს კი არა, მთელ ქალაქს უნდა გადახურო სახურავი, ათასობით, ათიათასობით ადამიანს დაუთბუნო ბინა-თავშესაფარი.

## რა ოცნებები გქონდათ ბავშვობაში?

ოჯახში ხუთი და-ძმანი ვიყავით. დმანისის რაიონის სოფელ დიდ გომარეთში ბევრს უჭირდა. ჩვენც არ ვიყავით დიდად დალხინებული — წვრილშვილიან ოჯახს დედ-მამის მზრუნველობა არ აკლდა, მაგრამ აბა რას გაგვწვდებოდნენ? დედაჩემი ჩვენს მოვლასა და სახლის პატრონობას ძლივს აუდიოდა, მამაჩემი დურგალი იყო და, აბა, იმისი შემოსავალი რა დიდი რამე იქნებოდა! სოფელში იმჟამად მშენებლობას მაინცდამაინც არავინ ეწეოდა, დურგალ-მშენებელს კი სხვაგან რა ესაქმებოდა!

მაგრამ მამაჩემი იხტიბარს არ იტეხდა. არასოდეს მინახავს იგი დაღვრემილი და გულგატეხილი. მომა-



ეროვნული ბიბლიოთეკა



**ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მამა-პაპათა ხელობა შვილებსაც ვასწავლო. დურგლის ხელობა ხომ ყოველთვის იქნება საჭირო.**

ვალს მუდამ იმედის თვალით შესცქეროდა. მოიცადე, დაიზრდებიან ჩემი ყურჭატები და მერე ვნახოთო, — იტყოდა ხოლმე. ხანდახან, როცა ნამუშევრით კმაყოფილი იყო, ვერ იცნობდა კაცი, ბედნიერებისაგან თვალები უციმციმებდა, სახეზე ღიმილი უკრთოდა. ამ დროს მზად იყო თან გადაგვყოლოდა პატარებს, ზოგს მხარზე შეგვისვამდა, ზოგს — მუხლებზე და ნაირ-ნაირ ზღაპრებს გვიამბობდა. მახსენდება ერთი ზღაპარი — იგი თვითონ მისი მოგონილი იყო. ერთხელ გამომიტყდა — მშენებლებზე ჯერ არ შეუთხზავთ ზღაპარი და ამიტომ მე თვითონ გამოვიგონეო. ზღაპარში მთავარი გმირი ერთი კეთილი ინჟინერი იყო. ინჟინერს ძალიან უყვარდა თავისი საქმე და, რაც მთავარია, დიდ მზრუნველობას იჩენდა მუშებისადმი, ყველანაირად თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა მათ. იმ კეთილ კაცს ვალიკო ერქვა, ჩემი სეხნია იყო. იმ დღიდან მოყოლებული, მეც გულში ჩამივარდა სამშენებლო საქმის სიყვარული. ძალიან გვიან მივხვდი მამაჩემის ფარულ ზრახვას — ბავშვობიდანვე ჩაენერგა ჩემთვის ხუროთმოძღვრების სიყვარული და პატივისცემა. იგი იმედოვნებდა, რომ, რაც მან ვერ შეძლო, იმას მე გავაკეთებდი, საგვარეულო, მამა-პაპათა ხელობას შევისწავლიდი, იმათ გზას გავაგრძელებდი... ვალიკოც ალბათ ამიტომ დაარქვა თავის ზღაპარში იმ კეთილ კაცს...

ალბათ დურგალ-მშენებლის პროფესიაც მამათქვენმა შეგაყვარათ?!

— დიახ, მამაჩემმა. 1939 წელს სოფლიდან თბილისში გადმოვედით საცხოვრებლად. ქალაქში მეტი მოთხოვნილება იყო მუშებსა და ხელოსნებზე. მამაჩემისთვის კი არა, ჩემთვისაც გამოინახა აქ სამუშაო. 13 წლისა ვიყავი, პირველად რომ წამიყვანა მშენებლობაზე. მახსოვს, ხუდადოვის ტყეში ტუბ-საავადმყოფოს კედლები ამოჰყავდათ, მამა ხარაჩოების გამაგრებაზე მუშაობდა, მე, როგორც დამხმარე მუშა, შავ სამუშაოს ვასრულებდი.

მამაჩემი ყოველნაირად ცდილობდა ახლოს ვყოლოდი; თავისი ხელობით დავეინტერესებინე. შინ რომ ვბრუნდებოდით დაღლილ-დაქანცულები, გზაში მეუბნებოდა ხოლმე, — დურგლის საქმე მძიმეა, მაგრამ ადამიანური და მშვიდობიანი ხელობააო. მეორე დღეს კი მიმიხმობდა თავისთან და მეტყოდა: — შვილო, დავიღალე, აბა ეს ფიცარი ბოლომდე ჩამიხერხე, თუ ბიჭი ხარო. მე ჩავუხერხავდი. იგი დიდად ნასიამოვნები რჩებოდა. მერე უფრო რთულ საქმეს გამომიჩენდა. ასე თანდათან დავეუფლე დურგლობას. მერე კი, მამა რომ ჯარში წაიყვანეს, ცოტა ეჭვი შემეპარა იმის ნათქვამში, დურგლობა ყველაზე მშვიდობიანი ხელობააო (იგი არც დაბრუნებულა ომიდან). მალე კი იმისმა სამუშაო იარაღებმა „დამიძახეს". მამაჩემის ადგილი სამშენებლო სამმართველოში მე დავიკავე. მაგრამ დიდი საქმისთვის ერთობ ახალგაზრდა და ახალბედა აღმოვჩნდი. მარტოხელას, ზედამხედველობისა და მშობლიური მზრუნველობის გარეშე სხვა, მაცდური ფიქრები დამეუფლა, სიზარმაცემ და უქნარობამ წამძლია...

ვინ იყო თქვენი გზის მაჩვენებელი ცხოვრებაში?

— მაცდური ფიქრები დამეუფლამეთქი, იმაზე ვამბობ, ერთ მშვენიერ დღეს, გავანებე მუშაობას თავი და ვიღაც უქნარებთან ქუჩაში ხეტიალი დავიწყე. დარდიმანდული ცხოვრების ცდუნებამ წამძლია. ახლა, მაშინდელ ჩემს საქციელს რომ გავიხსენებ ხოლმე, სირცხვილი მწვავს. ათასობით ჩემი თანატოლი თავს აკლავდა მომხდურებს, ათასობით კი ქარხნებსა და მინდვრებში ათენ-აღამებდა, წელებზე ფეხს იდგამდა, მე კი ქვეყნის საქმეს და მამაჩემის სურვილს ვუგანე თითქოს...

მაგრამ თავნებობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთ დღეს შინ გვესტუმრა ჩვენი სამშენებლო სამ-

**საქართველო ციფრებში**

**1913 წელს საქართველოში ამოღებული იყო 70 ათასი ტონა ქვანახშირი, 1966 წელს კი ჩვენს რესპუბლიკაში 2.600.000 ტონა ქვანახშირი ამოიღეს.**





**1913 წელს საქართველოში არ დაუმზადებიათ არცერთი ლითონმჭრელი ჩარხი, 1966 წელს კი ჩვენმა ქარხნებმა 4 ათასამდე ჩარხი მიაწოდეს მრეწველობას.**

მართველოს სამუშაოთა მწარმოებელი, ქალბატონი ნინო ბალანჩივაძე. დედაჩემივით დამიტკბა, მომეფერა, რჩევა-დარიგება მომცა. ყველანი გაოცებული ვიყავით პატივცემული ნინოს ქცევით. აბა ვინ წარმოიდგენდა, უფროსი, უცხო ადამიანი ამდენ ზრუნვასა და ყურადღებას თუ გამოიჩენდა თავისი ხელქვეითის მიმართ (მე მაშინ ის კეთილი ინჟინერი გამახსენდა მამის ზღაპრიდან, ისიც



შესვენებისას ამხანაგებთან საუბარს რა სჯობს... ყველაფერი საინტერესო ახლა გახსენდება თითქოს...

ხომ ასე გულისხმიერი იყო თავისი მუშებისადმი). მეორე დღესვე წავედი მშენებლობაზე. ნინომ დიდად გაიხარა, მისული რომ მნახა. ალბათ იფიქრა, არ დაფრთხესო ყმაწვილი და პირველ დღეებში სხვებთან შედარებით იოლი სამუშაო მიმიჩინა, უხერხული იყო უფროსის კეთილგანწყობილებით „ბოროტად“ სარგებლობა და რთულ უბანზე გადავედი. ასეთმა საქციელმა ერთიორად ამამაღლა უფროსი კოლეგების თვალში. იმ დღიდან მოყოლებული, მეტი პატივისცემით მეპყრობოდა ყველა. მართალია, უმრავლესობას შვილად, ხოლო ზოგიერთს შვილიშვილადაც კი ვერგებოდი, მაგრამ ჩემთან თავის გაყადრება აღარავის ეთაკილებოდა უკვე...

· მართლაც რომ მკვიდრად დამებე-

და მშენებლობაზე ფუსფუს-ტრიალი. აი, უკვე ოცდაათი წელი გავიდა, რაც მეათე სამშენებლო სამმართველოში ვმუშაობ. კი არ ვტრაბახობ, მაგრამ ვიტყვი, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში არც მიზეზით, არც უმიზეზოდ ერთი დღეც არ გამიცდენია. თავს ჩინებულად ვგრძნობ, ჩაქუჩი და ხერხი, თუ არ დამიმსუბუქდა, დამძიმებით არ დამმძიმებია. პატარაობაში სუსტი ვიყავი და ყოველდღიურმა ფიზიკურმა შრომამ, ეტყობა, გამომაწრთო, საბიულეტენოდ საქმე ჯერ არ მქონია.

რას გრძნობთ, თქვენს აშენებულ სახლს როცა ჩაუვლით?

— მამაჩემისაგან მსმენია: მექოთნემ თუ ერთხელაც კი მრუდე თვალით გადახედა თავის ნახელავს, ქოთნები იწყენენ და გაიბზარებიანო. მერე დაუმატებდა: — ნიკორწმინდისა და სხვა ტაძართა ხუროთმოძღვრებს თავიანთი საქმე რომ არ ჰყვარებოდათ, ეს წარსულის დიდებული ძეგლები დღემდე როგორღა მოაღწევდაო...

მეც ხშირად ვფიქრობ ხოლმე ბინებსა და სასახლეებზე, რომელთა აშენებაში ჩემს ბრიგადასაც მიუძღვის წვლილი. ჩემი ამხანაგების მაგივრადაც შემიძლია ვთქვა, ყველას გვსიამოვნებს მათ გვერდით ჩავლა, ახლოდან შეხედვა. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ყველა შენობით ერთნაირად კმაყოფილი ვიყო. უწინ, მაგალითად, ტიპიურ სახლებს რომ ვაშენებდით, სული გვეხუთებოდა, თითქოს თავზე გვაწვა მთელი სართულები. საოცარი უსიამო გრძნობა გვეუფლებოდა... მაგრამ სულ სხვანაირად განვიცდით სასტუმრო „საქართველოს“, სპორტის სასახლის, ტელეცენტრისა და სასტუმრო „ივერიის“ ცადაზიდულ, ფართო კორპუსების სიდიადესა და მშვენიერებას... ზოგჯერ უნებლიეთ შევანელებ ხოლმე ნაბიჯს იმათს ცქერაში და ისე ხარბად ვათვალიერებ, თითქოს პირველად ვხედავდე...

რომელ სართულზე უფრო გეხალისებათ მუშაობა?

— რაც უფრო მაღალია სახლი, მით უფრო სახალისოა მუშაობა. ასე ფიქრობენ ჩემი ამხანაგებიც. მახსოვს, პირველად, ზემო სართულზე მოფუსფუსე კაცს რომ დავინახავდი, ვფიქრობდი — როგორ არ ეშინია-მეთქი. მერე კი დავრწმუნდი, რომ არავითარი შიშის გრძნობა არ არსებობს დიდ სიმაღლეებზე, პირიქით, უფრო სასიამოვნოა იქ მუშაობა. კრიალა ზეცის სამეფოში მზესა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავებთან ახლოს ხარ კაცი და, ასე გგონია, თითქოს მხოლოდ ამ სახლს კი არა, მთელ ქალაქს უნდა გადახურო სახურავი; ას კაცს კი არა, ათასობით, ათიათასობით ადამიანს დაუთბუნო ბინა-თავშესაფარი, და გეჩვენება, თითქოს ქვევიდან შემომყურე ადამიანები თავს გიქნევენ მადლობის ნიშნად, გაქეზებენ...



სხვა რა გზაა... ამ ჭარმაგობისას თავს ხომ არ შეირცხვენ კაცი...

**როგორი დამოკიდებულებაა ბრიგადის წევრებს შორის?**

— სოფელში ცხოვრებისას ხშირად მესმოდა ხოლმე სიტყვა „ნადი“. მამაჩემი იტყოდა, მეზობელს სახურავი ჩანგრევია და უნდა მივეხმაროთო. მთელ სოფელს შეჰყრიდა და დაზარალებულთან დაიბარებდა. „ერთი-მეორისთვის ხელი რომ არ გაეწვდინათ ჩვენს წინაპრებს, რომ არ წაშველებოდნენ და მხარში არ ამოსდგომოდნენ, როგორ აშენდებოდა ამდენი ციხე-სიმაგრე, ტაძარი და ეკლესია?“ — მიხსნიდა საღამოს მამა.

ჩვენს ბრიგადაშიც არის ურთიერთდახმარების ტრადიცია. როცა რომელიმე ჩვენგანს სასწრაფო, გადაუდებელი საქმე გაუჩნდება ოჯახში, თავისუფალ დროს იმასთან ვიკრიბებით ყველანი და ვეხმარებით რითაც კი შეგვიძლია. ისეთი საქმე რა უნდა იყოს, რომ ჩვენ ვერ გავართვათ თავი. მონდომება გვაქვს და, სადაც მონდომებაა, იქ შეუძლებელი არაფერია...

ამას წინათ, მაგალითად, ვალიკო ჭალიძეს სახლი ჰქონდა შესარემონტებელი და, ჩვენ რომ არ მივშველებოდით, ძალიან გაუჭირდებოდა მარტოხელას. რამდენიმე კვირის წინათ მეც მომეხმარნენ — სარდაფი გამაწყობინეს...

ბრიგადის წევრები ოჯახებითაც ახლოსა ვართ ერთიმეორესთან. შემთხვევით თუ ვინმე ახალბედა, გამოუცდელი მოხვდა ჩვენს ბრიგადაში, ისევე როგორც კეთილგონიერი მებაღე ცდილობს სუსტი, დაჩაგრული ნერგი წამოაწიოს თანამოძმეებს, ჩვენც ყოველნაირად ვეხმარებით ხოლმე მას.

ერთხელ საბავშვო სახლიდან ერთი ყმაწვილი მოვიდა ჩვენთან სამუშაოდ. ზრდილი, თავაზიანი ბიჭი იყო. ფრთხილი, გულისხმიერი დამოკიდებულებით ისე დავიახლოვეთ, მუშაობის მერე ჩვენთან დაშორება ეზარებოდა ხოლმე. მაგრამ ერთხელ ჩხუბში მოხვდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, დააკავეს. ჯიბეში დანა უნახეს. ცუდად იყო მისი საქმე. მეც და ბრიგადის სხვა წევრებმაც რამდენჯერმე მივაკითხეთ. არასოდეს წამოსცდენია — მიშველეთ ციხიდან დამიხსენითო. თავის უდანაშაულობაში გვარწმუნებდა მხოლოდ. ეს იყო და ეს... მეც, ავდექი და თავდებად დავუდექი. ენდნენ ჩემს სიტყვას და გამოუშვეს. ახლა ის ყმაწვილი ცნობილი კაცია. ერთ-ერთ სამშენებლო სამმართველოში სამუშაოთა მწარმოებლად მუშაობს.

მსგავსი შემთხვევები ამ ოცდაათი წლის მანძილზე საკმაოდ გვქონდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ბრიგადიდან უკმაყოფილო არავინ წასულა...

**როგორ ხვდებით საბჭოთა საქართველოს იუბილეს?**

ამჟამად ჩვენი ბრიგადა მუშაობს ვერაზე, კინო-საკონცერტო დარბაზის მშენებლობაზე. იგი საექსპლოატაციოდ უნდა გადავცეთ საქართველოს ორმოცდაათი წლის იუბილესათვის. დღეისათვის აქ ჩვენი, სადურგლო სამუშაოები მთლიანად მომთავრებულია, ბრიგადის წევრები ახლა სულ სხვა საქმითა ვართ დაკავებულნი — პარკეტსა და რკინა-ბეტონის ფილებს ვაგებთ მცირე დარბაზის შემოსასვლელში, ლენინის ქუჩის მხრიდან.

ამჟამად ბრიგადაში ოთხნი ვართ ჭელიძეები. ორი მათგანი ჩემი ძმაა, ისინიც ოცი-ოცდაორი წელია მშენებლობაზე იღვწიან, მამაჩემის გზას ადგანან. მესამე კი ჩემი ვაჟია. მან შარშან დაამთავრა საშუალო სკოლა. დიდი სურვილი აქვს მშენებელი ინჟინერი გამოვიდეს და, ვიდრე ინსტიტუტში გამოცდებს ჩააბარებდეს, სათანადო პრაქტიკას გადის მშენებლობაზე...

**რა ინტერესები გაქვთ ცხოვრებაში, რით ერთობით თავისუფალ დროს?**

— მე დასაწყისში ვთქვი, — მამაჩემს ძალიან სურდა მშენებელი გამოვსულიყავი-მეთქი... ჰოდა, — განაგრძო მან ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, — ხომ უნდა გამემართლებინა მშობლისათვის, ადრე თუ გვიან უნდა გამემართლებინა. და აი, ამ სიბერის ჟამს სწავლას შევუდექი. ამჟამად სამშენებლო ტექნიკუმის მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ. თავისუფალ დროს თითქმის მთლიანად მეცადინეობას ვანდომებ. (სხვა რა გზაა — ამ ჭარმაგობისას თავს ხომ არ შევირცხვენ კაცი!), და კიდევ — ოჯახში ფუსფუსსა და საქმიანობას, ცოლ-შვილთან გართობასა და დასვენებას. ოჯახურ მყუდროებაში ხომ ყველაზე ადვილია განვლილი გზის ერთხელ კიდევ თვალის გადავლება და შემოწმება, მომავალი გეგმების მონიშვნა. რამეთუ მერმისზე ფიქრისა და ზრუნვის გარეშე ვერ იქნები მართალი შენი ქვეყნის წინაშე, დიდი ცხოვრების წინაშე, ეპოქის, ოჯახისა და ამხანაგების წინაშე...

საუბარი ჩაწერა მირონ ხერგიანმა.

# საქართველო—მსოფლიო ბაზარზე




ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

50

# პოეტები უმღერიან საბჭოთა საქართველოს

## ჩემი სამშობლო საქართველოა

### მორის ფოცხიშვილი

ლაღად ვარ, ძალით ვერც ვინ ამყაროს,
ჩემი მთაა და ჩემი მდელოა, —
მშვიდად გავძახი დედა-სამყაროს:
„მე რომ მამღერებს — საქართველოა!“

ის ვკრეფ, ვაზებს ვეხმატკბილები,
ზეცა ოცნების სამფლობელოა,
ფრთებს გავშლი, როგორც ლურჯი
ფრინველი,
„მე რომ მამაღლებს — საქართველოა!“

ჰქვია რწმენა და ჰქვია სიცოცხლე,
თუმც ერთი პეშვი მთა და მდელოა,
ლაღად ვარ, მინდა ყველამ იცოდეს:
„ჩემი სამშობლო — საქართველოა!“

## საიუბილეო

### ლადო სულაბერიძე

უხსოვარი ხნის არის
საქართველო ჩვენი.
მარტო რვაას წელს ითვლის
რუსთაველის ენით.

ბევრი რვაასწლეული
რუსთველამდეც თვალა.
ახალ ათასწლეულთა
თვლას დაიწყებს ხვალაც.

უხსოვარი ხნის არის
საქართველო ჩვენი.
უკვდავების სიმღერა თქვა
რუსთაველის ენით.
ახალს,

მაგრამ ახლა, სხვა ცხოვრების
მზე აანთო რახან,
ორმოცდაათ წელს ვულოცავთ
საქართველოს ახალს.

ახალს,
უფრო მხნეს და დიადს,
უფრო აღშენებულს,
მეგობრობით, სიყვარულით,
ძმობით დამშვენებულს.

ხალხს დროშები გამარჯვების
მწვერვალებზე აქვს.
გაუმარჯოს მის ახალ გზებს,
ახალ ორმოცდაათს!

იმის ენის ახალ გზნებას,
იმის ახალ ქართულს,
სართულებზე წამომართულ
ახალ-ახალ სართულს.

მშვიდობის და ძმობის გზებზე
კვლავაც ლაღად ევლოს.
გაუმარჯოს უხსოვარ ხნის
ახალ საქართველოს!

## მზიანი მიწა

### გიორგი ჯიბლაური

საქართველოს სინათლე,
საქართველოს სიმწვანე
ირწმუნეს და ინატრეს,
ილოცეს და იწამეს.
მაღალ მთვარეს,
მაღალ მზეს,
მთის და ბარის მიწათა
გმირი ხმალის ვადაზე
შეფიცული იცავდა.
ამოდუღდა სიკეთე
წყაროებად,
ჩანჩქერად,

შუბზე ამოიკვეთა,
ქვაზე ამოიკვეთა,
ვაზზე ამოიკვეთა
ქართველ კაცის მარჯვენა.
ჩვენი სიტყვა მქუხარებს
მარაბდაზე,
მარუხზე.
ცადაშოლტილ მუხნარებს
მტერი ვერ დაამუხლებს.

ყვავილნარმა მოხატა,
ნარეკლისგან გაწმინდა
კრწანისი და მახათა,
სამგორი და მთაწმინდა...
და ამ ფერთა დიდება
თებერვალის შუქია,
აღარ დაიბინდება,
ქართველს რაც შეუქმნია.
მზე დაკნათის იალაღს,
ველებსა და მწვერვალებს,
მზე ბდღვრიალებს კი არა,
საქართველო ელვარებს.

---

**საქართველო ციფრებში**

1913 წელს საქართველოში 25 მასობრივი ბიბლიოთეკა იყო, 18 ათასი წიგნით. 1970 წელს ასეთ ბიბლიოთეკათა რიცხვი 3500-მდე ავიდა. წიგნების ფონდის რაოდენობა კი 20 მილიონამდე გაიზარდა.

1913 წელს საქართველოში 500 ექიმი იყო, ახლა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე დგას 17 400 ექიმი, 42 ათასი საშუალო სამედიცინო განათლების მქონე მუშაკი. ახლა საქართველოში ყოველ 10 ათას კაცზე 37,1 ექიმი მოდის.

1913 წელს საქართველოში ქართულ ენაზე გამოიცა 232 წიგნი, 453 ათასი საერთო ტირაჟით. 1965 წელს ჩვენს რესპუბლიკაში გამოიცა 1672 დასახელების წიგნი, საერთო ტირაჟით — 9 616 ათასი.





# ნობათი

მოთხრობა

პლატონ ბებია

მხატვარი გიორგი წერეთელი.

ნაშუადღევს, როგორც იქნა, გადაიკარა. გამოიჭიატა თუ არა მზემ, ბავშვები მაშინვე მხიარული ყიჟინით გამოეფინენ სკოლის ეზოში. ზოგმა ბურთი ისროლა ჰაერში, ზოგმა წიგნი გადაშალა და კითხვა დაიწყო.

გაკვეთილები უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ მოსწავლეები გააფრთხილეს, არ დაიშალოთო, და ისინიც იცდიდნენ. ზარის გაბმულ წკრიალზე ეზო ერთბაშად დაიცალა — ყველანი სკოლის შენობაში შებრუნდნენ.

დარბაზში ხმაური იდგა, მაგრამ მასწავლებლების შემოსვლისთანავე სიჩუმე ჩამოვარდა. დირექტორი მაგიდასთან მივიდა. იგი შუახნის, ტანადი, სასიამოვნო გარეგნობის კაცი იყო. მან ალერსიანი მზერა მიმოავლო დარბაზს.

,,ნეტა რას გვეტყვის? რატომ შეგვკრიბა ყველა ერთად?“ — ფიქრობდნენ გასუსული მოსწავლეები. დირექტორმა ერთხელ კიდევ გადახედა დარბაზს და ხმამაღლა დაიწყო.

— ბავშვებო! .

●

საოცრად მყუდრო ალაგას არის ჩადგმული წისქვილი. აქ მხოლოდ ორი გზით თუ მოაღწევ — ნაკადულით ან ცოტა ზემოთ გაკვალული ფარული ბილიკით.

ამ წისქვილში კერაზოველები იკრიბებიან, როცა რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი აქვთ გადასაწყვეტი. ეს რამდენიმე დღეა, ერთთავად აქ არიან. ცხენები შეკაზმული ჰყავთ, თითქოს ეს-ეს არის ადგილიდან მოსწყვეტენო. შავნაბდოსანი, აფხაზურად ჩაცმულ-დახურული ბრგე ვაჟკაცები რაღაცაზე თათბირობენ. არემარეს შუაღამის წყვდიადი შემობურვია.

— დიდი, ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს — დაამთავრა სიტყვა თვალებანთებულმა ჭინაგუმ.*

უცებ გარედან კვნესისებური ხმა მოისმა.

— ჩუმად! — თქვა კართან მდგარმა კერაზოველმა. ყველამ ყური ცქვიტა. ერთხანს ჩამიჩუმი არ ისმოდა. შემდეგ კვლავ განმეორდა იგივე ხმა.

— ვიღაც მოდის...

სიბნელეს ბიჭის ლანდი გამოეყო.

— აბრაგ! სად გივლია ამ უკუნეთში?! — გაიოცა ყველამ.

აბრაგს ეტყობოდა დიდი უსიამოვნება შემთხვეოდა. იგი მივარდა აჯირს და სწრაფად ალაპარაკდა:

— მამაჩემი მოკლეს... სახლი დაგვიწვეს!.. — ამის მეტი ვერაფრის თქმა ვერ შესძლო. იდგა თავით ფეხამდე ამოთხვრილი, გაფითრებული, დაკაწრული...

იქ მყოფთ სწრაფად გამართეს ბჭობა.

ღამე ნელ-ნელა ილეოდა. მთები გარინდებული იდგნენ. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. კერაზოველებს შურისძიება სწყუროდათ.

— მაშ ასე, როგორც გითხარით! — უთხრა თავის ხალხს ჭინაგუმ. ყველანი ცხენებს მოახტნენ. ბავშვი აჯირმა შემოისვა უკან. მხედრები ხევს გაუყვნენ.

●

აბრაგის მამა სოფლის მასწავლებელი იყო, გლეხის ბავშვებს ასწავლიდა. ბევრი ჯაფა გასწია, რომ თვითონ გლეხებისთვისაც ესწავლებინა წერა-კითხვა. იმ სკოლაში აბრაგიც სწავლობდა. კალმის ხმარება რომ ისწავლა, ყველაზე მეტად ხატვამ გაიტაცა. სულ პაწაწინა იყო, დედა რომ მოუკვდა. ობლად დარჩენილმა სხვებზე უფრო თავისი ბიძა აჯირი შეიყვარა, რადგან იგი ეფერებოდა ხოლმე.

— აბა მითხარი, რა გინდა გამოხვიდე, როცა გაიზრდები? — ჰკითხა ერთ საღამოს აჯირმა ბიჭს.

— ყაჩაღი გავხდები, ვაჭრებსა და თავადებს ყველას გავწყვეტ! — უპასუხა აბრაგმა.

აჯირს მხიარულად გაეცინა.

---

* ჭინაგუ — ასე ეძახოდა ხალხი ცნობილ აფხაზ რევოლუციონერს ნესტორ ლაკობას.

საქართველო ციფრებში



1928 წელს საქართველოში მოქსოვეს 100000 მეტრი ბამბეულის ქსოვილი. 1966 წელს—60,9 მილიონი მეტრი.

1928 წელს საქართველოში დამზადდა 600000 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი, 1966 წელს—21,5 მლ. მეტრი.

1913 წელს საავადმყოფოებში სულ 2100 საწოლი იყო. 1965 წელს — 38200.

რევოლუციამდე საქართველოში სრულიად არ აწარმოებდნენ ნავთობს, 1966 წელს საქართველოს წიაღიდან ამოიღეს 320 ათასი ტონა ნავთი.



— ყური მიგდე, ბიჭო, შენი ფიქრით, რაკი ჩვენ ტყეში ვცხოვრობთ, ყაჩაღები ვართ, არა? ჩვენ თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები გახლავართ. იცი, ისეთებს, როგორიც ჩვენა ვართ, რუსეთში დიდი ლენინი ჩაუდგა სათავეში და მეფე ჩამოაგდო.

ბიჭი გაოცდა:

— რაო? ვინ არის ლენინი?

— ლენინი... ლენინი ის არის, ვინც სიმართლეს ეძებს. ის ხალხის თავისუფლებისათვის იბრძვის. მას უნდა, თქვენ, ბავშვები სწავლობდეთ, რომ ბედნიერი ცხოვრება დაიმკვიდროთ.

„ნეტა რანაირი კაცია, რომელმაც მეფე ჩამოაგდო და კიდევ ამდენი რამის გაკეთება უნდა? ალბათ ძალიან მაღალია! — ფიქრობდა აბრაგი. — მას უნდა, რომ ბავშვები სწავლობდნენ. ერთხელ რომ მაინც დამანახვა იგი!..“

— შენ გინახავს როდისმე ლენინი? — მიუბრუნდა აჯირს.

— არა, არ მინახავს. მაგრამ იგი ყველას რჩევას აძლევს, ყველას მეთაურობს.

აბრაგი იჯდა და ფიქრობდა დიდ ადამიანზე.

იმ საღამოს შემდეგ აჯირმა ბიჭს ხუმრობით „აბრაგი“ დაარქვა, რაც აფხაზურად ყაჩაღს ნიშნავს.

აბრაგი იზრდებოდა. მან არ იცოდა რა იყო შიში. მათ სახლში აჯირთან ერთად კერაზოველებმა რომ დაიწყეს სიარული, აბრაგი მიეჩვია მათ. კერაზოველებმაც შეიყვარეს იგი და ზოგჯერ თან მიჰყავდათ კიდეც. ისინი მას წვრილ-წვრილ დავალებებს აძლევდნენ და აბრაგსაც თავი უკვე დავაჟკაცებული ეგონა. მისი სიხარული უსაზღვრო იყო. მაგრამ, აი, მოხდა უბედურება. მათს სახლს, იმის გამო, რომ იქ ხშირად იკრიბებოდნენ კერაზოველები, ხალხის მტრები — მენშევიკები დაეცნენ და ალყა შემოარტყეს. როცა მამა მიხვდა, საქმე ცუდად არისო, შვილს უბრძანა, აქაურობას გაეცალეო, მაგრამ ბიჭი უარზე იყო.

— წადი, წადი, — გაუმეორა მამამ. სწორედ ამ დროს ბნელ ღამეში გასროლილმა ტყვიამ განგმირა აბრაგის მამა.

აბრაგი აწრიალდა, არ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

— წადი... კერაზოველებთან... — ეს იყო მამის უკანასკნელი სიტყვები.

როცა იქაურობას ცოტაზე გასცდა, აბრაგმა დაინახა, რომ მათი სახლი ცეცხლის ალში იყო გახვეული.

გადიოდა დღეები. აბრაგი კერაზოველებთან იმყოფებოდა, სხვადასხვა დავალებას ასრულებდა. ხომ არის ისეთი საქმეები, რომლებზეც პატარას უფრო მიუწვდება ხელი, ვიდრე დიდს, მით უმეტეს, თუ გარშემო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გამართული.

...თებერვლის სუსხიანი ქარი მძვინვარებდა. პირქუშად მოედინებოდა მდინარე ხიფსი. მის ორთავე ნაპირს შორის ტყვიები მოციქულობდნენ წივილით. ერთმანეთს ესროდნენ, ერთი მხრივ, ცხოვრებით კმაყოფილნი, მეორე მხრივ კი — ახალი ცხოვრებისთვის მებრძოლი კერაზოველები. აბრაგი კერაზოველთა რაზმში ტრიალებდა. ამ სხარტ ბიჭს სად არ მოჰკრავდით თვალს! ერთთავად ზარბაზნის ბოლში იყო გახვეული.

— აბრაგ!.. — გაისმა მეტყვიამფრქვევის ხმა. ბიჭი მყისვე მიცოცდა მასთან.



— ვაზნები მითავდება, იჩქარე!..

აბრაგი შორეული ლარტაფისკენ გაეშურა, სადაც აჯირი და მისი მეგობრები გააფთრებით ისროდნენ. ბიჭი ბოლს იფარებდა და, რაც შეეძლო, სწრაფად მიდიოდა. ზოგჯერ სულ ახლოს გაუწივლებდა ტყვია. როგორც იქნა, მიაღწია ბოლო პუნქტამდე. სულ მალე, ვაზნებით სავსე ზურგჩანთიანად უკანვე გამოსწია.

— ნუ გეშინია, ჩემო აბრაგ. შენ გმირი ხარ! — გაამხნევა აჯირმა ძმისწული.

აბრაგი გამალებით მიხოხავდა. ოღონდ ეს მოტიტვლებული ფერდობი გადაიაროს, მერე უკვე სამშვიდობოს იქნება. მიწას გაკრული თავგანწირვით მიიწევდა წინ. მაგრამ მტერმა შეამჩნია. მსტვინავმა ტყვიებმა ზედ ცხვირ-პირში მიაყარა მიწის ნაძოძი.

აბრაგი წუთით გაქვავდა. იგი სრულიად შიშველ ადგილას აღმოჩნდა. მტერმა ყმაწვილი მიზანში ამოიღო. თავის წამოწევის საშუალებას არ აძლევდა. აბრაგი შეკრთა... მაგრამ ამ დროს აჯირის ტყვიამფრქვევის კაკანიც გაისმა. აბრაგმა დაინახა, გაღმა ნაპირზე როგორ გაფართხალდა ჰაერში მტრის ფეხები და ხმამაღლა გაეცინა. მერე ისევ წინ დაიძრა.

საღამოს შედარებით იკლო სროლამ. რამდენიმე ხნის შემდეგ კი სულ მიწყდა. სოფელში მდუმარება გამეფდა.

...აბრაგს მთელი ღამე თვალწინ ედგა იმდღევანდელი ბრძოლის სურათები, განსაკუთრებით — აჯირის მიერ მოცელილი მტრის მოფართხალე ფეხები.

მეორე დღეს მან დახატა ეს სურათი: მტერს ტყვიამფრქვევი ხელიდან გავარდნოდა და პირდაფჩენილი ძირს ეცემოდა.

— ყოჩაღ, ჩემო აბრაგ, ყოჩაღ! — შეაქო აჯირმა ყმაწვილი, სურათს რომ დახედა. შემდეგ მან სურათი ჭინაგუს აჩვენა. ჭინაგუმ გაიღიმა და დიდხანს ათვალიერა ნახატი. მერე რვეული გადაფურცლა და სხვა ნახატებიც დაათვალიერა. ერთ გვერდზე შეაჩერა თვალი. „ლენინი... ნეტავი ერთხელ მანახა იგი“... — ამოიკითხა ჭინაგუმ.

— ლენინი! იცი ვინ არის იგი?

— ვიცი, მას უნდა ჩვენ, ბავშვები, ყველანი ვსწავლობდეთ... — მიუგო თვალებგაბრწყინებულმა აბრაგმა.

— ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო აბრაგ, როგორც კი გავიმარჯვებთ, სკოლაში მოგაწყობთ. იქ შენ ხატვასაც ისწავლი! — დასძინა ჭინაგუმ, მერე გულისჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო, ჩამოჯდა და რაღაც ჩაწერა.

— შენ ჯერ პატარა ხარ და შეიძლება ვერ გაიგო, მაგრამ, როცა გაიზრდები, წაიკითხე. აჰა, სახსოვრად გქონდეს! — უთხრა მან აბრაგს და უბის წიგნაკი გაუწოდა. აბრაგმა სიხარულით გამოართვა. ყდაზე დიდი ლენინის პორტრეტი ეხატა. ბიჭმა ჯერ ზე ასწია წიგნაკი, შეათვალიერა, მერე კი გულში ჩაიკრა.

გავიდა ერთი თვე. კერაზოველები წითელარმიელებთან ერთად დროშების ფრიალით შევიდნენ აფხაზეთის დედაქალაქში — სოხუმში.

დირექტორი აუჩქარებლად ჰყვებოდა ამბავს. მოსწავლეები სულგანაბულნი უსმენდნენ.

— ბავშვებო, დღეს ჩვენ დიდებული საჩუქარი მივიღეთ. — თქვა მან ბოლოს. — ჩვენმა სკოლამ ფასდაუდებელი ნობათი მიიღო.

დირექტორმა მაგიდიდან საზეიმო იერით აიღო წითელ ხავერდში გახვეული რაღაც ნივთი და გაშალა.

პორტრეტიდან ბავშვებს ვლადიმერ ილიას ძე ლენინი უღიმოდა.

— ამ პორტრეტის ავტორია აბრაგი — თქვენი ამხანაგი ბატა გუმბა! — განაცხადა დირექტორმა.

ყველამ გაოცებით მიიხედა იმ კუთხისკენ, სადაც დარცხვენილი ბატა იდგა.

ეტყობოდა, ეუხერხულებოდა, ყველა რომ მას მისჩერებოდა, იდგა აბრაგი სახეალანძული, თავდახრილი...

აფხაზურიდან თარგმნა ს. ზამფრიანმა.



## ახალი წიგნები

**მოთხრობები ვლადიმერ ილიჩზე**

ო. მატიუშინა

ჩვენთვის ძვირფასია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრებისა და შემოქმედების ყოველი წვრილმანი. განსაკუთრე-



ბით საინტერესოა, თუ ამბავს ისეთი კაცი ჰყვება, ვისაც ბელადი ნანახი ჰყავს და მის ნაცნობებსაც იცნობს.

ამ წიგნში თავმოყრილი პატარა ჩანახატების ავტორმა ოლღა კონსტანტინეს ასულმა მატიუშინამ თავისი ცხოვრების ოცდაათ წელზე მეტი წიგნის საქმეს შესწირა. ის მუშაობდა ლიტერატურის გავრცელებაზე ჯერ რევოლუციამდელ პარტიულ გამომცემლობებში „ვპერიოდსა“ და „ჟიზნ ი ზნანიეში“, 1918 წლიდან კი გამომცემლობა „კომუნისტში“. აი, სწორედ აქ ხვდებოდა ოლღა მატიუშინა ვ. ი. ლენინს, ნ. კრუპსკაიას, მ. ულიანოვას, ვ. ბონჩ-ბრუევიჩსა და ბევრ სხვას.

აქ მხოლოდ ავტორის საკუთარი თვალით ნანახი, ანდა ვლადიმერ ილიჩის ახლო ნაცნობების მონაყოლი მცირე ეპიზოდებია მოთხრობილი. მაგრამ ეს პატარა და ძუნწი ჩანაწერებიც კი გულისხმიერი, ყურადღებიანი, მიზანდასახული, მუშაობაში მოუღლელი და „ყველაზე კაცური კაცის“ სახეს გვიხატავენ, გვიხატავენ იმ გარემოსაც, სადაც მაშინ ცხოვრობდა დიდი ლენინი.

**როცა პიონერ-ხელმძღვანელი ვიყავი**

ნ. ბოგდანოვი

წიგნი მოგვითხრობს, თუ როგორ შეიქმნა ერთ-ერთი პირველი პიონერული რაზმი, როგორ ცხოვრობდნენ ბავშვები თვითმოქმედ პიონერულ ბანაკებში, რამდენი სიძნელის, მოულოდნელობისა და არაჩვეულებრივი ამბების გადალახვა მოუხდათ მათ.

მკითხველი ამ წიგნში გაეცნობა პიონერული მუშაობის პრობლემებს, რომლებიც დღესაც კი გვაღელვებს; გაიგებს, როგორ მეგობრობდა პიონერებთან მწერალი არკადი გაიდარი; როგორ ზრუნავდა კრუპსკაია მათზე... და კიდევ ბევრ, ბევრ საინტერესო ამბავს მოგითხრობთ პიონერული მოძრაობის პირველ რომანტიკულ წლებზე.





# დიდება მათ!..

•ეს ფოტო „პრავდის“ ფოტოკორესპონდენტმა სიმონ კოროტკოვმა 1964 წელს გადაიღო. ამ ფოტოზე გამოსახული ჭაბუკი მებრძოლის სურათი რომ მოჩანს, ის კი — 1942 წელს, დიდი სამამულო ომის ცხარე ბრძოლების დროს...

კოროტკოვმა რადიოთი მოისმინა აფხაზი ჭაბუკის ალექსი არქბას სიმამაცე, რომელმაც მტრის მეთერთმეტე „ენა“ ცოცხლად მიიყვანა ნაწილში. კორესპონდენტმა გადაწყვიტა გადაეღო ეს მებრძოლი და ფრონტზე ეწვია.

„ჭაბუკმა ფოტოკორესპონდენტს სთხოვა, ერთი სურათი მე მომეცით, დედას სამხედრო ფორმის ტანსაცმელში არ ვუნახივარ და მინდა გავუგზავნოო.

კორესპონდენტმა მებრძოლს თხოვნა შეუსრულა და მეორე დღესვე მიუტანა სურათი, მაგრამ ჯარისკაცი საბრძოლო დავალებაზე იყო წასული და უკან ვეღარ დაბრუნდა, დაიღუპა.

ფოტოკორესპონდენტმა იმ დღიდან ძებნა დაუწყო ამ ჭაბუკის დედას, რომ იმისი სურვილი შეესრულებინა. და აი, მხოლოდ 22 წლის შემდეგ, შემთხვევით მიაგნო ტყვარჩელში მცხოვრებ მარუშა არქბას, შვილის დაკარგვით უზომოდ დამგლოვიარებულ დედას.

კორესპონდენტმა ოჯახის ალბომი მოითხოვა და მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ამ ალბომში ალექსი არქბას პატარა ფოტო იპოვა. მაშინ კი მისცა თავს ნება წლების მანძილზე სასოებით ნატარები ფრონტელის სურათი დედისათვის გადაეცა და აესრულებინა ჭაბუკი მებრძოლის სურვილი.

მწუხარე დედამ შვილის სურათის დანახვაზე გონება დაკარგა, ძლივს მოასულიერეს.

— რაც შვილის სიკვდილი გავიგე, ერთი ღამეც არა მძინებია, სულ რაღაცას ველოდი, გული მიგრძნობდა, ამბავი უნდა გამეგო ჩემი ალექსის... — წარმოთქვა სევდიანად ფრონტელის მოხუცმა დედამ.

დღეს ეს სურათი, როგორც ომის ავბედობის სიმბოლო, ბერლინში ბრანდენბურგის ჭიშკართან ჰკიდია! იგი გამოქვეყნებულია მსოფლიოს 16 ქვეყანაში 40 მილიონი ტირაჟით, მიღებული აქვს 3 საერთაშორისო პრემია და მსოფლიო ჯილდო — ოქროს მედალი!

ქართველი კაცი მთელი თავისი დრო და მოსწრება, ხნავდა და თესავდა, მკიდა მოსავალს თუ ლხინი ედგა, დღენიადაგ ხელი ხმალზე ჰქონდა ჩავლებული და თვალყურ გამახვილებული იყო, რომ მტერი არსაიდან დასხმოდა.

მტერი კი ბევრი ჰყავდა: ეს არაბიო, ეს მონღოლიო, თურქი, სპარსი...

ის იყო მიწაში ფესვს გაიდგამდა მარცვალი, ოდნავ წელში გაიმართებოდა ქვეყანა და კვლავ ცეცხლის ალში ეხვეოდა ხალხის ნაამაგარი. სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა ქართველი ვაჟკაცისათვის უპირველესი და უწმინდესი მოვალეობა გახდა. მას გვერდით ედგა ქალიც, მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულით ანთებული გადაფაფრებული იყო თავის კერასა და აკვანზე...

ლეგენდად დარჩა ხალხში ცხრა ძმა ხერხეულიძეების, ცოტნე დადიანის, დიმიტრი თავდადებულის, თევდორე მღვდელისა და სხვა მრავალთა გმირული თავგანწირვა

სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საუკუნო დიდება მათ! — დალოცა ხალხმა თავისი მამაცი შვილები და უკვდავჰყო მათი სახელები!

აი, ეს ობელისკი ჩვენი დედაქალაქის ერთ კუთხეში, ორთაჭალაში არის აღმართული, კრწანისის ველზე სპარსელებთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული სამასი არაგველი ვაჟკაცის სიცოცხლის სიმბოლოდ...

მათი ძეგლია პოეტ-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის ეს სტრიქონებიც:

*„მზე, შენობა და მიწა მარადი*
*შენი მე მიყვარს, შენს მოქალაქეს,*
*არა ვით მტკვარს და აპრილს, არამედ*
*როგორც უყვარდა სამას არაგველს.*

*მათ თვის ქალაქთან თავი გასწირეს,*
*არ გაპარულან მტკვარში მხარულით,*
*მარად შევნატრი მათ სიყმაწვილეს,*
*მე მესმის მხოლოდ ეს სიყვარული“.*

და აი, როგორც იყო, დაუდგა საქართველოს მშვიდობისა და შენების ხანა! 1921 წელს დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება! ერმა თავისუფლად ამოისუნთქა და მოძმე რესპუბლიკების ხალხთან თანამეგობრობით მშვიდობიანი ცხოვრების გზას დაადგა...

მაგრამ ჩვენს დიად სამშობლოს 1941 წელს მოულოდნელად თავს დაესხა გერმანიის ფაშისტური ურდოები.

დაიწყო დიდი სამამულო ომი!

მტრის წინააღმდეგ ერთიანად აღსდგა საბჭოთა ხალხი... მათ შორის გმირული საბრძოლო გზა განვლეს ქართველმა ვაჟკაცებმაც.

დიდი სამამულო ომის ისტორიაში შარავანდედით არის მოსილი სევასტოპოლის დაცვის დიადი ეპოპეა, რომლის დაცვისათვის თავი გამოიჩინეს ქართველმა მებრძოლებმაც.



სევასტოპოლის 414-ე ანაპის ქართულ მსროლელ დივიზიას გადაეცა წითელი დროშის ორდენი. ათასობით ქართველი მებრძოლი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით. სევასტოპოლის ლეგენდარული გმირები გახდნენ: კაპიტანი არკადი გეგეშიძე, პოლიტხელი მიხეილ გახოკიძე, წყალქვეშა ნავის მეთაური მესამე რანგის კაპიტანი იაროსლავ იოსელიანი, ზემდეგი ნოე ადამია და სხვა მრავალი.

სამარადისოდ განისვენებს ათასობით ქართველი მებრძოლი „ზოლოტაია ალეას“ მიდამოებში, ქერჩის მისადგომებთან, უკრაინის მიწა-წყალზე...

საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდებას ატარებს 136 ქართველი მეომარი ვაჟკაცი.

# ტაგუ



**გრიგოლ ჩიქოვანი** — მხატვარი ჯემალ ლოლუა.

მოთხრობა

დესპანები ქეშან ჭილაძეს მიჰყავდა სასახლეში. ჩქარობდნენ. დილით ფოთის ნავსაყუდელიდან გამოსულები, მუხლჩაუდრეკლად მიდიოდნენ. ტყის სქელი თაღი ფარავდა ცას. არ ჩანდა მზე. არ იცოდნენ რა დრო იყო გასული. შიშობდნენ, ღამეს არ მოესწრო ულრანში.

ხვატი დუღდა ჭაობში. ტყის მდუმარებაში წვრილად ყიპყიპებდა ბლანტი. მისი მუქმწვანე ლიბრი თვალგადმოკარკლული ბაყაყებით იყო მოფენილი. სიცხით დაბრმავებულები ფეხებში ებლანდებოდნენ მგზავრებს. დესპანებს შიშნარევი ზიზღით ემანჭებოდათ სახე. ორნი იყვნენ. სულთან მურადის უსტარი მიჰქონდათ დადიანთან.

ოდიშის მთავრის კაცებს თურქთა ელჩები თუ დესპანები სასახლეში პირდაპირი გზით არასოდეს მიჰყავდათ. არ გაატარებდნენ სოფლებზე, შორს ჩაუვლიდნენ ბაღებსა და ყანებს, ვენახებს. თუ ფოთის ან ყულევის ნავსაყუდელში გადმოსხდებოდნენ, გაუვალი ჭაობებითა და უსიერი ტყეებით მიჰყავდათ. თუ ანაკლიიდან მოდიოდნენ, ციცაბო კლდეების ბილიკებზე ატარებდნენ. მდინარესთან ფონს აუქცევდნენ. დიდ მორევში გაიყვანდნენ, ღამეს მეჯოგის გამჭვარტლულ კარავში გაათევინებდნენ, შუაცეცხლის კვამლით თვალს ამოწვავდნენ, ვახშმად ხმელ მჭადსა და დაშაშხულ მჭლე თხის ხორცს მიართმევდნენ, ლოგინად თივას დაუგებდნენ და სასთუმლად ჯირკს დაუდებდნენ. თავბედს აწყევლინებდნენ, სანამ დადიანს მიჰგვრიდნენ.

დადიანი ასე იმიტომ იქცეოდა, რომ თავისი სამთავრო მთლად დაქცეულად, გაუბედურებულად მოეჩვენებინა თურქისთვის, რათა სულთანს არასოდეს აღძვროდა ოდიშის დაპყრობის სურვილი.

ელჩების თუ დესპანების შესახვედრად გაგზავნილ თავადებს ისეთი მეგზურები მიჰყავდათ, ზღვისპირეთის ულრანის ყველა სახიფათო-საძნელო გზა და ბილიკი ხელისგულივით რომ იცოდნენ.

ამჯერად თურქებს ქეშან ჭილაძის მეჯოგე ტაგუ ზარანდია და მისი ჩვიდმეტი წლის ვაჟი ვალურია სკვერი მიუძღოდნენ. სკვერს იმიტომ ეძახდნენ ვალურიას, რომ აშოლტილი ტანით, მაღალი კისრითა და გრძელწამწამებიანი მსხვილი თვალებით მართლაც სკვერსა ჰგავდა. სკვერივით შემართული და დაცეცებული იყო ყოველთვის, როგორც მეგრელი ჭყიში*, ყოველ ნაბიჯზე რომ ფათერაკი ელის.

ვალურია სკვერს შინ ნაქსოვი ქალალი შალის ძიქვა-ხალათი ეცვა, ისე შემოსხლეტილი და დამოკლებული, რომ ძიქვის ტოტები წვივებამდე ჰქონდა ასული, ხალათისა იდაყვებამდე, ფეხთ არ ემოსა და არც თავზე ეხურა. ქამრის მაგივრად თოკი ერტყა.

ულრანი დამპალი ფოთლითა და ხავსით იყო მოფენილი. ჭაობის ბუჩქი და ბარდი ერთმანეთს ჩახლართოდა, წიფელი, თხმელა, ცაცხვი და მუხა ერთმანეთში იყო არეული, ერთმანეთს გადახლართოდნენ და მჭიდროდ ჩაეჭიდათ ტოტები.

ტყის თაღიდან აქა-იქ მზის სვეტები ჩაყუდებულიყო ხეებსა და ძეძვებს შორის, ფოთლები და ჭაობის უნიათო ყვავილები ოქროს მტვრით აეციმციმებინა.

ვალურია სკვერი სწრაფად მიიკვლევდა გზას. ფეხის დადგმის უმალ გრძნობდა, სად იყო ხავსსა და დამპალ, დატკეპნილ ფოთლებქვეშ მიწა და სად ულმობელი ჭაობი, რომლის გამხმარი ზედაპირი, თითქოს განგებ შენიღბული, მაცდურად ცურავდა, იზნიქებოდა. საკმარისი იყო ოდნავი შეყოვნება, რომ ჩაეთრია, ჩაეტაცა ბლანტს თავის უძირო ხახაში. მაგრამ ვალურია სკვერი ჰაერში იკავებდა ტანს. სხარტი ნახტომით ისე სწრაფად მოინაცვლებდა ადგილს, რომ თითქოს ფეხსაც არ ადგამდა.

ვალურიას მოვლილი ჰქონდა ოდიშის ლაკადა და ზღვისპირეთის ურბანები. შემოდგომასა და ზამთარში მეჯოგეები კოლხეთის ტყეში აძოვებდნენ საქონელს, მამა-შვილი ისეთ ჭაობში გაივლიდნენ, ისეთ ადიდებულ მდინარეს გადაცურავდნენ, სადაც ეშმაც ვერ გაბედავდა გასვლას.

როცა ქეშან ჭილაძე ლაშქრად ან სხვა სახიფათო გზაზე მიდიოდა, ყოველთვის ტაგუ მიჰყავდა. ტაგუს შეურყეველი სიმშვიდე ყოველნაირი ხიფათის ჟამს, უტეხი სიმტკიცე, რომელიც მის უცვლელ, რკინის ნიღაბქვეშ იმალებოდა, როგორც დიდი ტკივილის, ისე საფრთხისას

* მწყემსი.

ანცვიფრებდა და ხიბლავდა ქეშანს. ეს კაფანდარა, ტანმორჩილი კაცი სრული სიმშვიდით უსწორებდა თვალს სიკვდილს.

ქეშანი დარწმუნებული იყო, რაღაც შეურყეველი, ხელშეუხები იჯდა ამ თვინიერ და გულკეთილ კაცში. აწლაც დესპანების წასაძღოლად ტაგუ იმიტომ აირჩია, რომ მარტო მას შეეძლო ყორათის უდაბურში გზის გაკვლევა. მაგრამ ქეშანს კარგა ხანი იყო არ ენახა ის, არ იცოდა, რომ ტაგუ ის ტაგუ აღარ იყო. აღარც თვალი უჭრიდა ძველებურად, არც მკლავი, და არც გული ერჩოდა. უვლიდა ბატონის ჯოგს, სიმრავლით მინდორს რომ აბნელებდა, და შეხაროდა ვაღურია სკვერს, რომლის იქით ქვეყნად არავინ ჰყავდა. ის იყო მისი ჩაღამებული გულის ერთადერთი იმედი. სამი შვილიდან მისი ჩამქრალი სიცოცხლის კანდელად დარჩენილი.

როცა ტაგუს უთხრეს, ბატონი სასწრაფოდ ფრიად საჭირო საქმეზე გიბარებსო, კიდეც გაუხარდა და კიდეც ეწყინა. გაუხარდა იმიტომ, რომ ქეშანმა ისევ გაიხსენა, ეწყინა იმიტომ, რომ უნდა გამოტყდომოდა, არავითარი საქმისთვის აღარ ვარგივართ. მაგრამ დესპანების მეგზურად წაყოლა რომ უბრძანა, ეამა. ჯავრი სჭირდა თურქების — სული ამოსვლაზე რომ ჰქონოდა, მაინც წაჰყვებოდა, ოღონდ რითიმე მიეზღო სამაგიერო. თან დიდ პატივად მიიღო, რომ ქეშანმა ის აირჩია ამ საქმის მოსავლელად და არა სხვა. ისევ ის ტაგუ ვგონივარ დიდ ბატონსო. არ გაუცრუა იმედი, არ გაუმხილა, რომ ხანმა და ორი შვილის მოუნელებელმა ვარამმა თავისი წარუშლელი, მძიმე დაღი დაადო და გატეხა. გადაწყვიტა ვაღურია სკვერი წაეყვანა თან.

სუნთქვა უჭირდათ. ცალფად, თითო საჟენის დაშორებით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. წინ ვაღურია მიიკვლევდა უგეშ გზას, უკან ტაგუ მიჰყვებოდა, ტაგუს შემდეგ ქეშან ჭილაძე, ქეშანის უკან დესპანები, შემდეგ კი ჭილაძისა და თურქების მოინალეები.

დიდი მანძილით დაშორდნენ გზას. თუ კიდევ ასე ივლიდნენ, ღამე მოუსწრებდათ. ვაღურია სკვერმა გზისკენ გადაუხვია.

— სკვერი!

მოესმა მამის გამაფრთხილებელი, ჩუმი შეძახილი. ვაღურია შებრუნდა.

ტაგუს შვილისთვის ნათქვამი ჰქონდა, სანამ ნიშანს არ მისცემდა, გზისკენ არ გადაეხვია. უნდოდა გაეწამებინა, სული ამოეხადა თურქებისთვის. მამის ნებას დამორჩილებული ვაღურია სკვერი უფრო დაშორდა გზას. მხოლოდ მისთვის ჩვეული უტყუარი ალღოთი ხვდებოდა, კიდევ ცოტაც და დაკარგავდა გეზს. იცოდა, მამაც გრძნობდა ამას. უკვირდა რატომ დაუშალა გზაზე გასვლა.

ირგვლივ ყველაფერი გალურსული იყო. მხოლოდ ჭაობი ყიპყიპებდა ყრუდ და წუოდა კოღო. ტყეში ჩამდგარი მზის მსხვილი და წვრილი სვეტები წაიხარა. შემზარავი ფერი დაედო ჭაობის დამპალ, გველის კანივით ჭრელ ზედაპირს.

ყველა გრძნობდა, რომ ვაღურიამ და ტაგუმ გეზი დაკარგეს. მიდიოდნენ ჩუმად, არავინ იღებდა ხმას. მათი თვალი წინ იყო მიპყრობილი, მათი გონება გზისკენ იყო მიქცეული.

დესპანები დაეჭვდნენ. რატომ უნდა არეოდათ გზა მთავრის კაცებს თავის მიწა-წყალზე? თვალს ადევნებდნენ მათ ყოველ მოძრაობას. მალე გაუქრათ ეჭვი. მასპინძლებს დაბნეულობა და ფარული შეშფოთება შეატყეს.

ტაგუ ნანობდა, რომ გზაზე გასვლის ნება არ დართო შვილს, „ვაღურია მიხვდა, დრო იყო გზაზე გავსულიყავით და მე ვერ მივხვდი. ამ ურჯულოების ჯავრმა დამაბრმავა მე უბედური. უკან რომ დავბრუნდეთ, ღამე მოგვისწრებს, ისევ წინ უნდა ვიაროთ. თუ გზაზე ვერ გავალთ, ჭყიშებს მაინც გადავეყრებით სადმე. სკვერი მიხვდა, მე ვერ მივხვდი“.

ვაღურია გააფრთხილა, არ ეჩქარა, ციმციმ ევლო, მორიდებოდა ჭაობს, რომელიც ყოველ ნაბიჯზე იყო ჩასაფრებული.

ჭაობის მყრალი სუნი თავბრუს ახვევდათ, სუნთქვას უკრავდათ, პირი და ყელი გამოკალულივით ჰქონდათ. კოღოები უძვრებოდნენ ცხვირში, ყურში, თვალში, საყელოში და ისე მწარედ კბენდნენ, ისე გულის გამაწყალებლად წიოდნენ, რომ მათგან გაღიზიანებულები და მოთმინებადაკარგულნი, გაავთრებით ირტყამდნენ ხელებს ლოყებზე, შუბლზე, კისერზე, თავზე, ზედ ისრესდნენ და ზედვე ახმებოდათ.

მიდიოდნენ და არ იცოდნენ, საით. ერთსა და იმავე ჭანჭრობს, ხეს, ბარდს რამდენჯერმე უვლიდნენ გარს. ხან სულ ახლო მივიდოდნენ გზასთან, მაგრამ გზას ვერ ხედავდნენ, ხან დიდი მანძილით შორდებოდნენ, ძვრებოდნენ ძეძვნარში, ედებოდნენ ეკალ-ბარდს, ახევდნენ ტანსაცმელს, იკაწრებოდნენ, ფეხქვეშ მიწა ეცლებოდათ, ეზნიქებოდათ, ერწეოდათ, შავი და მყრალი ჭაობი წებოსავით ეკვროდათ, გამწარებულები, სასოწარკვეთილები ძლივს მიათრევდნენ გახევებულ ფეხებს.

მხოლოდ ვაღურია არ კარგავდა სიმშვიდეს. მისი თამამი, მტკიცე ნაბიჯი, მაღლა აწეული თავი და გამამხნევებელი ღიმილი იმედს ჰგვრიდათ, მაგრამ ვაღურია სკვერი ხედავდა, სული კბილით ეჭირათ და, მოთმინება მთლად რომ არ დაეკარგათ, მოულოდნელად სიმღერა წამოიწყო.

ეს მისი დის — ცაუს საყვარელი სიმღერა იყო. ვაღუ-

**საქართველო ციფრებში**



1940 წელს საქართველოს ქარხნებმა გამოუშვეს 13,1 ათასი ტონა შაქარი და შაქრის ფხვნილი, 1966 წელს—60 ათასამდე.



1917 წელს ვენახებს ეჭირა მხოლოდ 41 ათასი ჰექტარი. ახლა ზვრები გადაჭიმულია 115,5 ათას ჰექტარზე.



1928 წელს საქართველოში დამზადდა 200 000 წყვილი ტყავის ფეხსაცმელი, 1966 წელს—12 მილიონი.



1918 წელს საქართველოში არ იყო არცერთი საბავშვო ბაგა, 1958 წელს საბავშვო ბაგებში 14,7 ათასი ბავშვი დადიოდა.

## საქართველო ციფრებში



რევოლუციამდელ საქართველოში სრულიად არ იყო ქაღალდის წარმოება, ქაღალდი უცხოეთიდან შემოგვქონდა, დღეს ჩვენ წელიწადში ვუშვებთ 35 ათასამდე ტონა ქაღალდს.

რევოლუციამდე ჩვენ სრულიად არ გაგვაჩნდა საკონსერვო წარმოება, დღეს ჩვენი ქარხნები 150 მილიონ ქილაზე მეტ კონსერვს აწვდიან მშრომელებს.

1913 წელს საქართველოში დამზადდა 30 მილიონი ცალი აგური, დღეს კი, რკინა-ბეტონის ეპოქაში, აგურის ქარხნები ჩვენს მშენებლობებს წელიწადში 600 მილიონ ცალ აგურს აწვდიან.

კინოდანადგარების რაოდენობა ორმოცდაათი წლის მანძილზე 29-დან 1800-მდე გაიზარდა.

რია სკვერი ყოველი საფრთხისა და გასაჭირის ჟამს მღეროდა მას:

მაღლა, სულ მაღლა თეთრი მთებია,
მთებზე ჭყიშები გადმოდგებიან —
ჩამოჰყვებიან ვიწრო ბილიკებს,
ზისას ინგირზე დაუხვდებიან...

თავი ასწიეს თურქებმა და მასპინძლებმა. გულს მოეშვათ როგორღაც, იმედი მიეცათ. ვაღურია სკვერის ხმაში ჟღერდა სიცოცხლის შეუკავებელი, ჯიუტი ძახილი და რწმენა, ამავე დროს რაღაც შეუცნობელი სევდაც, რომელიც მხოლოდ ტაგუსთვის იყო გასაგები და სიმღერამ წარსული გაახსენა...

აღდგომა ღამეა. ჯარგვლის აივანზე ტაგუ ბოძზე ჩამოკიდებულ თიკანს ატყავებს. დღეს მოვიდა ტყიდან. იქ ჯოგს ედგა მთელი ზამთარი. გახარებულია ოჯახი. ცოლი კერიასთან კვერცხებს ღებავს. აქეთ ქუჯი უზის დედას. იქით პატარა ვაღურია. თვალანთებულები შეჰყურებენ წითლად მოხასხასე კვერცხებს. ცაუ მამასთანაა აივანზე ქათმებს პუტავს, დღეს ცა გაეხსნა — მამა მოუვიდა, ჩიტივით უფრინავს გული, ციბრუტივით ტრიალებს, ტაგუ რომ შინ მოვა, თავს შემოევლება: დაბანს, დავარცხნის, დაუკერავს, თითს არ გაანძრევინებს, ხელიდან სტაცებს საქმეს. იცის, როგორაა დანატრებული ოჯახს, ცოლშვილს.

ტაგუმ მოათავა თიკნის გატყავება, თქმა არ დასჭირვებია, ცაუმ გობი დაუდგა.

— წყალიც მოიტანე, შვილო!

ცაუ კოკას დასწვდა და ჭისკენ გაიქცა ხტუნვა-ხტუნვით და კოკის ქნევით. ამღერდა, შეჰხარის კაშკაშა მთვარეს, ტყემლისა და ატმის აყვავებულ ხეებს, სიცოცხლით სავსე თავის თექვსმეტ წელს, ზარივით წკრიალებს მისი ხმა:

მაღლა, სულ მაღლა თეთრი მთებია,
მთებზე ჭყიშები გადმოდგებიან —
ჩამოჰყვებიან ვიწრო ბილიკებს,
ზისას ინგირზე დაუხვდებიან...

ხმა ჩაუწყდა უცებ.

გველნაკბენივით მოტრიალდა უმალვე ტაგუ.

— ბა...ბა...ბაა! — გაისმა ცაუს გაგუდული შეკივლება.

წამოიჭრა და გაიქცა ტაგუ ჭისკენ, გამოვარდა ჯარგვლიდან თავზარდაცემული დედა. გამოჰყვნენ ბავშვები.

ათქარუნდა შუკაში ფლოქვები.

— მი...შვე...ლეეთ!

გადაევლო ღობეს ტაგუ, მაგრამ შორს იყვნენ ცხენოსნები. შეიქმნა ძაღლების ღავღავი, ქალების კივილი, მამაკაცების ყიჟინი:

— ყურსალები!

— ცაუ მოიტაცეს!

— არიქათ, არ გაუშვათ!

ხტებოდნენ ალაგეზე, ღობეზე, თხრილზე, გამორბოდნენ ჭიშკრებიდან. აღარ ჩანდნენ ყურსალები, არ ისმოდა ცაუს კივილი...

ზმანება ქრება. ტაგუს ქუშიან, გაწამებულ სახეზე სიმწრის ოფლი ასკდება.

ცაუ თურქეთში გაყიდეს ყურსალებმა.

„ცაუ, შვილო, თურქის ხასა ხარ ახლა". ტაგუს ესმის უკან მომავალ თურქთა ნაბიჯები. ერთი, ორი, სამი, ოთხი, უროსავით ხვდება გულ'ზე. ხუთი, ექვსი, შვიდი... ათი... ათი წელია არ შორდება ტაგუს ყურს კივილი: „ბა...ბა...ბაა!"

ახალი სურათი დგება ტაგუს გონების თვალში: ოდიშში თურქთა შემოსევას ელიან: ჭყიშებს ჯოგი მთაში ჰყავთ გახიზნული. მზიანი დილაა. ჯოლორძაგას მთაზე საქონელი ძოვს. წუხელ ღვართქაფს მიწაზე გაურთხავს ბალახი, მოუთხრია ბუჩქი, მოურღვევია ქართები, კარვები. ალაგ-ალაგ ნიაღვრისაგან დამხრჩვალი თხა და ხბო გდია.

მთელი ღამის უძინარი, სველი და ილაჯგაწყვეტილი ჭყიშები დამხვრჩალ პირუტყვს აგროვებენ, აგებენ ქართებს, კარვებს, თავს უყრიან მიმოფანტულ ჭურჭელს: ნიგებს,, კათხებს, გობებს კარდალებს. ერთადერთი გადარჩენილი კარვის წინ ტაგუ დაშავებულ მკლავს უხვევს ქუჯის.

განთიადისას გადაიკარა ცამ. ღამით ძლიერმა მერეხმა პირწმინდად ჩამორეცხა ანარიას, აციგლარას, აიცის, ბაშკაბსრას და ჯოლორძაგას მთის საძოვრები. ნიაღვარმა ხევებსა და ნაპრალებში ჩაიტაცა ძროხა და ცხენი, თხა და ცხვარი, ჭყიშები, გზები, ბილიკები. მეხმა და ელვამ დააფრთხო წვითა და დაგვით ნაზარდი საქონელი.

გაუნახევრდათ ჭყიშებს ჯოგი. ისინი მთის პატრონის, დარ-ავდრის მბრძანებლის, მთავარანგელოზ მიქამგარიოს რისხვას მიაწერდნენ ღვართქაფს: ის გაგვიწყრა და გაგვიგულისდაო.

ატყდა თუ არა ჭექა-ქუხილი, ჭყიშებმა მთებზე ცეცხლი დაანთეს, გარს შემოუდგნენ კოცონებს და, „დაერგე-აშვას" უმღერიან მიქამგარიოს, საქონელს ავედრებენ, შეწყნარებას სთხოვენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა სულ უფრო განივრად აღებს პირს, გაცოფებული მერეხი გაღუზების ძალას არ აძლევს ცეცხლს. არ იწყნარებს მიქამგარიო ჭყიშთა ღაღადისს.

მატულობს ელვა და ზათქი, სახეში სცემთ ჭყიშებს თქეში, მოშიშვლებულ თავში სცემთ, სუნთქვას უკრავთ, მაგრამ მაინც უმღერიან „დაერგე-აშვას“ მიქამგარიოს, იმედითა და შიშით შეჰყურებენ ზეცას ელვითა და თქეშით თვალმოჭრილნი.

მხოლოდ ჯოღორძაგას მთაზე ქეშან ჭილაძის ჯოგი გადაურჩა სტიქიონს. ცეცხლსა და „დაერგე-აშვას“ არ დაუფარავს იგი. ტაგუ ზარანდია და მისი ჭყიშები შემოერკალნენ გაგიჟებულ საქონელს და შეჰკრეს. მთელი ღამე მხარში ედგა მამას ქუჯი. სიბნელეში დაფეთებული ფაშატი დაეტაკა და მკლავი ელრძო.

— ხომ არ გიჭერს, შვილო? — ეკითხება ტაგუ, ნახვევს უნასკვავს.

— არა, ბაბა.

— გტკივა?

— ცოტა, ბაბა... არა... რა თქვი, ბაბა?

— რა დაგემართა, ქუჯი? — თავი ასწია ტაგუმ.

— არაფერი, ბაბა, — ქუჯი გზისკენ იყურება.

იარაღში ჩასილაღებული სამი მოხუცი მეჯოგე მოდის კარვისკენ. სახე შავ საავდრო ღრუბლებს მიუგავთ.

„რა უნდათ?“ გული გადაუტრიალდა ტაგუს, „რა უნდათ?“ შეხედა ქუჯის. მიხვდა, რისთვის მოდიან მეჯოგეები, სახე საავდრო შავ ღრუბელს მიუგავთ.

გუშინ ჩანჩქერში იბანავა ქუჯიმ.

„რად მივეცი ნება!“

მთაში კაციშვილი ვერ გაშიშვლდება, მთის წყალში ტანს ვერ დაიბანს. მთის წყარო მიქამგარიოსია. კაციშვილი ვერ შემურტლავს მას თავისი ტანით: იწყენს მიქამგარიო, მერეხსა და ქარაშოტს მოიყვანსო.

„რად მივეცი ნება!“

ქუჯიმ განარისხა მიქამგარიო, შეურაცხყო მთა.

„ჩემი ბრალია, რად მივეცი ნება!“

ჭყიშები არავის აპატიებენ მთის შეურაცხყოფას.

„ჩემი ბრალია“.

დინჯად ახლოვდებიან მეჯოგეები.

სულგანაბული დგას ქუჯი. ადამიანის ფერი არ ადევს.

მიატოვეს საქმე ჭყიშებმა, მობრუნდნენ მეჯოგეებისკენ.

დინჯად ახლოვდებიან მეჯოგეები.

„რად მივეცი ნება!“

სულგანაბულნი დგანან ჭყიშები.

მოვიდნენ მეჯოგეები, გარს შემოუდგნენ ქუჯის.

სულგანაბულნი დგანან ჭყიშები. თვალს არ აშორებენ სიმწრით კრიჭაშეკრულ ბერიკაცს.

„ჩემი ბრალია“.

მეჯოგეები ბორცვის გასწვრივ მიდიან. ერთი წინ, შემდეგ ქუჯი. ორი მის უკან.

„ქუჯი, შვილო!“

უხმოდ შეჰყურებენ ჭყიშები, როგორ მიჰყავთ ქუჯი.

მეჯოგეები იმ გზით ბრუნდებიან რა გზითაც მოვიდნენ. ერთი წინ მიდის, შემდეგ ქუჯი, ორი მის უკან.

მოლოხილი დგანან ჭყიშები.

„ქუჯი, შვილო!“

გადავიდნენ ბორცვის თავზე მეჯოგეები. მიეფარა თვალს ქუჯი.

ტაგუ რაღაც განგებას უკავია ფეხზე.

მივიდნენ ჭყიშები და თავი დახარეს. მეტი რა შეუძლიათ, ნუგეშს ვერ სცემენ, ვერ მოეხმარებიან. ქუჯიმ მთის წესი დაარღვია. სხვანაირად ვერ მოიქცეოდნენ მეჯოგეები. მეჯოგე შვილსაც ვერ აპატიებს მთის შეურაცხყოფას. მთის მადლით ცხოვრობს მეჯოგე. მთა რომ არა, მეჯოგეც არ იქნებოდა. ქუჯიმ შეურაცხყო მთა, გა-



**საქართველო ციფრებში**



რევოლუციამდელი საქართველო სავსებით არ ადნობდა თუჯს, ფოლადს, ნაგლინს, 1966 წელს კი საქართველოში გამოადნეს თუჯი—81,9 ათასი ტონა, ფოლადი—1422 ათასი ტონა, ნაგლინი—1053 ათასი ტონა.

აჯავრა მიქამგარიო. წამოვიდა ღვართქაფი, გაანახევრა ჯოგი.

მეჯოგეებმა სამშობლოდან განდგომა დაადვეს მსჯავრად. სამუდამოდ განდევნეს ოდიშიდან...

...ცრემლით სავსეა ტაგუს თვალები. ახლად გათხრილი საფლავის ბორცვთან დგას. დედამ ვერ აიტანა მეორე შვილის დაკარგვა. მამაკაცის გული უფრო ამტანია. ტაგუს გული ყველაფერს აიტანს, ოღონდ ვაღურია სკვერი შერჩეს. დღედაღამ ილოცებს, დღედაღამ იშრომებს, წელებზე ფეხს დაიდგამს, ოღონდ ვაღურია სკვერი შერჩეს.

სასაფლაოდან შინ არ წავიდა. რა დარჩა შინ! მისი ოჯახი ცაუ და ქუჯი იყო, ოჯახის დედაბოძი — ცოლი. სასაფლაოდან ვაღურია სკვერი ჯოგში წაიყვანა და მას შემდეგ აღარც მობრუნებულა შინ...

პირქუშად დუმს გალურსული ტყე. მიდის წინ ვაღურია. „ღმერთო, შენ დამიფარე ვაღურია სკვერი! მე ავაცდინე გზას, მე დავუშალე!“ როგორც ქუჯის, ვაღურია სკვერსაც არ იშორებდა გვერდიდან. დედაც ის იყო მისთვის, მამაც, დაცა და ძმაც.

ბავშვის ცნობისმოყვარე თვალსა და ნათელ გონებას არაფერი გამოეპარებოდა, სწრაფად ითვისებდა ყველაფერს საჭიროს, როგორც მამისგან, ასევე სხვისგან, როგორც ადამიანისაგან, ასევე პირუტყვისაგან. ტაგუს წარმოდგენით, ამ ჩვიდმეტი წლის ბიჭში თავმოყრილი იყო ბუნებისა და სულიერის ყველა სიბრძნე. იგი იყო მისი ქურუმი, მისი იმედი, მისი ცა და მიწა.

ულრანის მტანჯველ მდუმარებაში რაღაც ფარული, რაღაც აუხსნელი რამ ხდებოდა ვაღურია სკვერისთვის, თითქოს ერთი შეხედვით, სიმშვიდე და მყუდროება მეფობდა იქ, მაგრამ ვაღურია ხედავდა, ნადირთა და ფრინველთა დაცეცებულ თვალებში რაოდენი შიში და ძრწოლა კრთოდა, ესმოდა, რა უმწეოდ ჭყიოდა გველის ხახაში ბაყაყი, როგორ ფართხალებდა მტაცებლის კლანჭებში მოქცეული ჩიტი, როგორ შეასკდა ერთმანეთს გააფთრებული წივილ-კრიახით და ძლიერი ფრთების ბათქუნით ორი ფრინველი, ხედავდა კისერმოღერებულ, შემკრთალ შველს, მთრთოლვარე კურდღელს... ულრანის ამ მოჩვენებით სიმშვიდესა და მდუმარებაში, მიწასა და ხეზე, ჭაობსა და მიწის ქვეშ ყოველი სულდგმული ერთმანეთს ებრძოდა, სპობდა, რათა თვითონ ეცოცხლა.

თვითონაც ასე იქცევა ვაღურია სკვერი. აბა, რატომ მიჰყავს ამ ჯოჯოხეთური გზით დესპანები! რატომ მოიტაცეს ყურსალებმა ცაუ! რატომ განდევნეს მეჯოგეებმა ქუჯი!

შედგა ვაღურია სკვერი. ფართო ჭაობმა გზა გადაუჭრა.

ჭაობს არც მარჯვნივ შემოევლება და არც მარცხნივ.

ყველა მდუმარედ დგას ვაღურია სკვერის უკან.

„ყველა სულდგმული ერთმანეთს ებრძოდა, რომ თვითონ ეცოცხლა“.

ყრუდ ფშვინავს ჭაობი. დაფიქრებული დგას ჭაობის პირას ვაღურია სკვერი.

თვალს არ აშორებს შვილს ტაგუ.

ჭაობის თავზე გაშტიალებული ცა ვარვარებს, ზღვისკენ დახრილა ბრტყელი, თითქმის უფერული მზე.



შეხედა მნათობს ვაღურია სკვერმა — ახლოს ყოფილან გზასთან. მაგრამ ჭაობს არც მარჯვნივ შემოევლება და არც მარცხნივ. გაღმა რამდენიმე ალვის ხე დგას. ერთ-ერთი უნდა მოჭრან და ჭაობზე გადააწვინონ ხიდად.

„ყველა სულდგმული ერთმანეთს ებრძვის, რომ თვითონ იცოცხლოს“.

ვაღურია სკვერი დაკვირვებით, მშვიდად დაჰყურებს ჭაობს.

„რატომ მოიტაცეს ყურსალებმა ცაუ!.. რატომ განდევნეს მეჯოგეებმა ქუჯი!“

ჭაობიდან კოპიტის, თხმელის გამხმარი და დამპალი ჯირკები და ტოტები ამოყუნტულა. ტოტიდან ჯირკზე, ჯირკიდან ტოტზე ხტომით უნდა გავიდეს ვინმე გაღმა.

დესპანები თვალს არ აშორებენ ვაღურია სკვერს. ქეშან ჭილაძე შუბლშეკრული დგას! სიმწრის ოფლი ასკდება ტაგუს გაფითრებულ სახეს.

ვაღურია სკვერი თვალს არ აშორებს ტყეს. სათითაოდ აკვირდება ჯირკებს, ტოტებს, გაუძლებენ თუ არა მის სიმძიმეს! სხვებიც ჯირკებსა და ტოტებს დაჰყურებენ...

ტაგუსკენ მობრუნდა ვაღურია სკვერი, შეხედა მამას.

„ღმერთი იყოს შენი შემწე, ბაბა!“

შიშიანი თვალები შეანათა ტაგუმ.

ვაღურია სკვერი დაიხარა. ისედაც მოკლე ძიქვის ტოტები აიკაპიწა, ტაგუს წალდი ჩამოართვა და თოკში გაირჭო, პირჯვარი გადაიწერა.

— ფრთხილად, ვაღურია სკვერი! — უბრძანა ქეშან ჭილაძემ და გამამხნევებლად გაუღიმა.

ვაღურია სკვერი არ იყო ამას ჩვეული. ურჩად, უკმაყოფილოდ აიქნია თავი და ისკუპა, შეახტა ჯირკს. ერთს,



მეორეს, შემდეგ ტოტს, ისევ ჯირკს. მეხუთეს, მეექვსეს. გატყდა ტოტი. ვაღურია სკვერმა მოასწრო ფეხის მონაცვლება. ჩაიწია ტოტი. ვაღურია სკვერი სხვა ტოტზე გადაფრინდა. მიხტის სკვერივით. მეცხრე, მეათე ტოტი და ჯირკი, მეთერთმეტე, მეჩვიდმეტე...

თვალს არ აშორებენ ნაპირიდან.

სუნთქვაშეკრული დგას ტაგუ. შუბლზე ხელი გადაისვა ქეშან ჭილაძემ.

დესპანებს დანა პირს არ უხსნით.

მეოცე... მეოცდაერთე... მიხტის წინ ვაღურია სკვერი.

„არიქა, ბაბა!“

შუა ჭაობს მიაღწია ვაღურია სკვერმა.

გული გაუჩერდა ტაგუს.

„არიქა, ბაბა!“

შეყოვნდა ჯირკზე ვაღურია სკვერი. დასახტომი ტოტი შორსაა.

„ბაბა, შვილო!“

ჯირკმა ჩაძირვა იწყო.

შიშით შეჰყურებს ყველა ვაღურია სკვერს.

„გადახტი, ბაბა!... გადახტი, რას უცდი, შვილო!“

დაიფარა ჯირკი ჭაობში.

— გადახტი, ბაბა!“

კოჭებამდე მისწვდა ჭაობი ვაღურია სკვერს. ყურყურებს საზარი ბლანტი. უნდა გადახტეს ვაღურია. არ უშვებს ჭაობის უჩინარი ბრჭყალები.

— გადახტი, შვილო! — შეჰყვირა ტაგუმ და თოკი ესროლა.

ვერ მისწვდა თოკი ვაღურია სკვერამდე. გადაიწია ზედა ტანით, გაიშვირა ხელი თოკისკენ, მაგრამ ჭაობი იღლიებში შეუვარდა.

ესროლა ორი, ერთმანეთს გადაბმული თოკი ერთმა მოინალემ, თოკის ბოლო ვაღურიას ცხვირწინ დაეცა. ჭაობის სალტემ ხელებიც შეუკრა. მხრები ღა ჩანს ჭაობიდან.

ტაგუმ დაინახა საშინელი, ფოსოებიდან შიშით ამოვარდნილი, საოცრად დიდი, გადათეთრებული თვალები.

— ბაბა! — გაისმა ნადირის შებღავლების მსგავსი გაგუდული ძახილი, მერე ბუყბუყი, და იმ ადგილას, სადაც უკანასკნელად გაიელვეს ვაღურია სკვერის თვალებმა, ბლანტის წებოვანი, შავი და მსხვილი ბუშტები ამოიბურთა.

მდუმარედ იდგნენ თურქები. ყველა იმ ადგილს დასცქეროდა, სადაც იბურთებოდა და სკდებოდა ბლანტის შავი ბუშტები.

გახევებულ ტაგუს გავარვარებული მზე ჩასცქეროდა ლიბრგადაკრულ თვალებში... ჭისკენ სიმღერითა და კოკის ქნევით მიხტის ცაუ... მიდიან ბორცვის გასწვრივ მეჯოგეები. ერთი წინ, შემდეგ ქუჯი, ორიც მის უკან. გადავიდნენ ბორცვის თავზე მეჯოგეები. მიეფარა თვალს ქუჯი... ბუყ... ამოიბურთა ბუშტი ჭაობზე. ბუყ... ამოიბურთა მეორე, მესამე. ბუშტებში ვაღურია სკვერის სული დგას, ბუშტებს ვაღურია სკვერის ბლანტით გალუმპული თავი ამოჰყვა. გამოჩნდა შემზარავი შიშით გადათეთრებული, მუჭის სიმსხო, გაყინული თვალები, სახე, მხრები, წინ გაშვერილი ხელები. „მიშველე, ბაბა!“ — შეესმა შვილის ხმა, მაგრამ ნაბიჯი ვერ გადადგა მისკენ. შექანდა, მუხლებზე დაეცა... გაქრა ვაღურია სკვერის მხრები, თავი, გაქრა შავი, მსხვილი ბუშტები.

მერე ქეშან ჭილაძე მივიდა, უნდოდა წამოეყენებინა. გვიან იყო, ერთბაშად უკან წაიღო ხელი.

მზემ გადაიწია. ჩრდილი დაეფინა ჭაობს, ტაგუს სახეს, უძრავს, უგრძნობს. შეწყდა ბუყბუყი და სამარისებური მდუმარება გამეფდა ირგვლივ.




## წინათ და ახლა

საქართველოში დღეს 4571 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, რომელშიაც მილიონზე მეტი მოსწავლე სწავლობს. ამ სკოლებში ასწავლის 77 ათასზე მეტი პედაგოგი. საქართველოში ყოველ ათას მცხოვრებზე ახლა 58 უმაღლესი და 382 საშუალო განათლების მქონე ადამიანი მოდის. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა 600 ათასზე მეტი სპეციალისტი მოამზადეს.

ეს ორი ფოტო ამ ციფრების საილუსტრაციოდ კარგი მაგალითია. ასეთი იყო რევოლუციის პირველ წლებში თბილისის ერთ-ერთი 2-წლიანი სკოლა, სადაც 30-ოდე მოსწავლე თუ სწავლობდა. ახლა მის ადგილას 51-ე საშუალო სკოლის 4-სართულიანი შენობაა წამომართული, სადაც 1000-მდე მოსწავლე სწავლობს.









ყოველ გაზაფხულს ტანჯვა-წამება მოჰქონდა კოლხეთის მოსახლეობისათვის. ადიდდებოდა რიონი, მოტბორავდა, დაფარავდა ისედაც ჭაობმოდებულ დაბლობს. ახლა კოლხეთი თითქმის მთლიანად ამოშრობილია. გაქრა ციება — განუზომელი უბედურების წყარო. ჩაის პლანტაციებითა და ბაღ-ვენახებით დაიფარა ოდესღაც გაუვალი ადგილები. ამჟამად რესპუბლიკაში მარტო ჩაის კულტურას 64 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს.



# წინათ და ახლა

1921 წელს საქართველო აწარმოებდა 21 მილიონ კილოვატ ელექტროენერგიას, ამჟამად საქართველო აწარმოებს დაახლოებით 9 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. ეს ნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ელექტროენერგიის წარმოება 433-ჯერ გაიზარდა. ვარციხის კასკადის პირველი რიგის, ენგურის უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის, თბილისის თბოელექტროსადგურის ახალი აგრეგატებისა და სხვათა ამუშავების შემდეგ ელექტროენერგიის გამომუშავება მიაღწევს 15,5 მილიარდ კილოვატ საათს, ანუ ხუთწლედის დამლევს დღეში გამოვიმუშავებთ იმდენ ენერგიას, რამდენსაც 1940 წელს ერთ თვეში ვიმუშავებდით.

არქივმა შემოგვინახა საინტერესო ფოტო — შაბათობა ზაჰესის მშენებლობაზე. აი, როგორი პრიმიტიული „ტექნიკით“ ვაშენებდით ინდუსტრიის გარიჟრაჟზე ელსადგურს. ენგურჰესის მშენებლობაზე კი სამუშაოთა თითქმის ოთხმოცი პროცენტი მექანიზებულია.









თუ გინდა ძელი ზუსტად მისი ღერძის პერპენდიკულარულად გადაჭრა, გააკეთე აქ გამოსახული მარტივი ხელსაწყო, მოარგე იგი ძელს, წინდაწინ ჩაჭრილ ღარში ხერხი ჩაუშვი და ისე გადაჭერი.

თუ ხატვა, ძერწვა ან ხეზე ჭრა გეხერხება, იშოვე კარგად გაპრიალებული მაგარი ხის ნაჭერი, მოიმარჯვე გამადიდებელი შუშა და მზიან ამინდში ხეზე შესანიშნავ ნახატებსა და ორნამენტებს ამოწვავ.

ხის სამკუთხედს ცალ კიდეზე ფიცარი მიაჭედე და მისი საშუალებით გამოსაჭრელ დეტალზე ხაზს ზუსტად გაავლებ.

ფანქრის წვერი სამართებლის ყუით უფრო კარგად წაითლება, ვიდრე ალესილი პირით.

პატარა ფიცარი, წყვილი ლურსმანი და რეზინის ნაჭერი სავსებით საკმარისია, წებოვანი და საღებავიანი ქილის სადგარი რომ გაკეთდეს.

კბილის სახეხი პასტის („პომარინი“ ან „მერი“) ცარიელ ტუბოს ნუ გადააგდებ — ტუბოს თავი შეიძლება პატარა ყუთის, განჯინის, კარადის ან სხვა საუცხოო ნივთის სახელურად გამოდგეს. ტუბო ისე გადაჭერი, რომ ლითონის ყელი ტანს კი არა, თავს გაჰყვეს. ტუბოს თავი რომ სახელურად გამოდგეს, ამისათვის მისი ლითონის ყელი რამდენიმე ადგილზე გახვრიტე და ამ ნახვრეტებით მიახრახნე სადაც ჯერ არს.



ცნობილია, რომ ზეთიანი საღებავით დასვრილი ხელების დაბანა, თუ საგანგებო ხსნარი არ იხმარე, ჭირს. მაგრამ თუ ასეთი ხსნარი შინ არა გაქვს, თურმე სხვა კარგი საშუალებაც არსებულა, და აი, რა: ხელები სარეცხის ფხვნილში ამოიგანგლე და კარგად დაიზილე, შემდეგ წყლით გადაიბანე და კანი უმალ გაგიხასხასდება.











## ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი


ტაბიძე გ. — მრავალჟამიერ გუგუნებდეს ხმა! (ლექსი) გარეკ. . . 2
სირაძე ვ. — საბჭოთა საქართველო 50 წლისაა (წერილი) . . . 1
მგელაძე ნ. — არდავიწყება (ნარკვევი) . . . . . . . . 4
შენგელაია დ. — ჩემი ბავშვობის ერთი დღე (მოგონება) . . . 8
პოეტები უმღერიან საბჭოთა საქართველოს . . . . . . . . 9
კლდიაშვილი ს. — როცა ბათუმი განსაცდელში იყო (მოგონება) . . . . . . . . 10
ხერგიანი მ. (ახლა რომ თოთხმეტი წლისა ვიყო) 12
პოეტები უმღერიან საბჭოთა საქართველოს 16
ბებია პ. — ნობათი (მოთხრობა) . . . . . . . . 19
ახალი წიგნები . . . . . . . . . . 21
დედა და შვილი (წერილი) . . . . . . . . 22
ჩიქოვანი გრ. — ტაგუ (მოთხრობა) . . . . . . . . 24
გამოგადგები . . . . . . . . . . 32
ცხრაკლიტული . . . . . . . . გარეკ. 3


გარეკანზე პლაკატი ზურაბ ფოცხიშვილისა


მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/III-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/IV-71 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 1084. ტირ. 124.065. უე 01994.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

## კ რ ო ს ვ ო რ დ ი

**ვერტიკალურად:** 1. ქართველი რევოლუციონერი; 2. პოეზიის სიმბოლო; 3. მდინარე სსრკ-ში; 4. მთები აზიაში; 5. XIX საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი ფიზიკოსი; 6. ა. მაჭავარიანის ბალეტი; 7. ვერდის ოპერა; 10. სოფელი ცხინვალის მახლობლად; 11. ნაცვალსახელი; 16. მღრღნელი; 17. ქალაქ ფეოდოსიის ძველი სახელწოდება; 20. გაუგონარი, ანუ?; 21. ინგლისის გლეხთა დიდი აჯანყების მეთაური; 22. რისამე ნაწილებად დაშლა, მისი შესწავლის მიზნით; 23. საქართველოს ერთ-ერთი რაიონული ცენტრი; 25. მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი; 27. ინდოეთის კუნძული; 31. ნორვეგიის ქალაქი; 32. მოუხარშავი, ანუ? 33. ცნობილი ქართველი მომღერალი; 36. ქალაქი სსრკ-ში; 39. ზღვის გრიგალი; 40. კურკოვანი ხილის ფაფა გაშრობის შემდეგ; 41. მცენარე; 43. მცენარე; 44. საბერძნეთის ქალაქი; 45. რიცხვი; 46. თვე.

**ჰორიზონტალურად:** 8. საქართველოს ერთ-ერთი რაიონული ცენტრი; 9. პლანეტა; 10. მდ. დუნაის ძველი სახელწოდება; 12. მჭრელი, ანუ?; 13. გორის რაიონის სოფელი; 14. ინდოეთის მდინარე; 15. მდინარე, რომელიც ლაპტევის ზღვას ერთვის; 18. სწრაფი, ძლიერი, ანუ?; 19. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 20. სამეგრელოს ერთ-ერთი მთა; 21. ქართლის მდინარე; 23. უარყოფითი სიტყვა; 24. რიცხვი; 26. მუსიკალურ ინსტრუმენტთა ოსტატი, თანამედროვე პიანინოს გამომგონებელი; 27. ჰალოგენების ჯგუფის ერთ-ერთი ელემენტი; 29. შესაძლებლობა, ანუ?; 30. საყანედ გაჩეხილი ტყე, ანუ?; 32. დაუყოვნებლივ სწრაფად, ანუ? 34. გამოჩენილი იტალიელი ფეხბურთელი; 35. ცხოველი; 37. ზაფხულის ნახნავი; 38. შენობის გადასახურავი მასალა; 42. ჭადრაკის ფიგურა; 45. ქვიანი ადგილი; 47. ენამჭრალი ადამიანი; 48. გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი; 49. ერთუჯრედიანი ცხოველი; 50. ბერძნულ და აღმოსავლურ კულტურათა შერწყმით წარმოქმნილი კულტურა; 51. ანტიკური სამყაროს სახალხო გმირი.





**ვახტანგ ცეცხლაძე,**
ქ. გორის მე-2 საშ. სკოლის IX კლ. მოსწავლე.

### შარადა

ქაჯეთის ციხის შემმუსვრელ
რაინდთა რიცხვი გჭირდება,
თუ გამოიცნობ, იცოდე,
ბოლო მარცვალი სცილდება.
მეორე — უჩინარია,
თარეშობს მთად და ბარადა,
არც მისი ბოლო ხმოვანი
გამოადგება შარადას.
ახლა — მომდევნო სახელი
რომ არის კიდევ საჭირო,
წყლის ყოველ დროში სამია,
უცებ მიხვდები, ყმაწვილო.
უკანასკნელი ნაწილი
მეუფე გახლავთ ნადირთა,
ოღონდ მეორე მარცვალი
ზედმეტია და არ გინდა.
თუ შეაერთებ ოთხივეს,
პასუხი განა ძნელია, —
დიდებას რაც ეზიარა,
სულ ხუთჯერ ათი წელია.

**შ. ამირანაშვილი.**

### ასანთის ღერებით

დააწყვეთ ასანთის ღერები ისე, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები. 14 ასანთის ღერისაგან შედგენილი ფიგურის ფართობი 3 ჯერ მეტია ვიდრე 6 ასანთის ღერისაგან შედგენილი ფიგურისა. ხელი არ ახლოთ 12 ღერს და 8 ღერი ისე გადააადგილეთ, რომ ერთი 7, მეორე კი 13 ასანთის ღერისაგან შემდგარი ორი ფიგურა გამოვიდეს, (ოღონდ ფართობის შეფარდება იგივე უნდა იყოს).



## პასუხი № 4-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

### რამდენ წუთში დაეწევა?

15 წუთში უფროსი ძმა იმდენსავე მანძილს გაივლის, რამდენსაც უმცროსი ძმა — 20 წუთში. მაშასადამე, უფროსი ძმა უმცროსს 15 წუთში დაეწევა.

### კროსვორდი

**ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ:** 1. იოდი; 2. ალოე; 4. უზბა; 6. აზრა; 7. ინდი; 9. საინი; 10. რამი; 11. იორი; 15. ფარი; 17. იარა; 19. კოდი; 20. აკრი; 22. ელბა.

**ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:** 1. იავა; 3. ბუ; 5. ელადა; 7. აქილევსი; 8. აზნაბადი; 9. სპარტაკი; 12. ია; 13. ის; 14. ირემი; 15. ფა; 16. ბონი; 18. ირლანდია; 19. კოლექცია; 21. იფ; 22. ექსპორტი; 23. ამონიუმი.

### შარადები

1. ჩონგური;
2. კალამი.

6 39/95

ИНДЕКС 76157

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ფოტო ოთარ თურქიასი.





ვაზი და ფუტკარი ოდითგან უყვარდათ საქართველოში. დიდებულ ჰავას, ნოყიერ მიწას, ყვავილებით ალალანებულ მთა-ველს და ქართველი კოლმეურნის გამრჯე მარჯვენას უხვად მოჰყავს მაღალხარისხოვანი ღვინო და თაფლი. დღეს ინდუსტრიაშიც დაწინაურდა ჩვენი რესპუბლიკა. საქართველოს ფოლადი, საქართველოს ნაგლინი... ჩვენი რესპუბლიკის ჭეშმარიტი სიამაყეა, ომის შემდგომი ხუთწლედების პირმშო რუსთავის მეტალურგიული ქარხანა.

